საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 21 ნოემბერი, 2014 წელი.

№236 (7616)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

„უკრაინული კვერცხების“ საქმე ⑤



ჩაშლილი ტენდერების საიდუმლო ④

ანექსიის კიდევ ერთი საფრთხე: რას ითვალისწინებს რუსეთ-სამხრეთი ოსეთის მოკავშირეობისა და ინტეგრაციის ხელშეკრულება? ⑤

დასავლეთის პოლიტიკური შტურმი ③ და რუსული დიპლომატიის ოცნება

ალასანიას პარტიაში შეიძლება ვაშაძე-მელიას გუნდი გადაბარგდეს ⑥

რატომ „აუვარდა თავში“ ლადო სადღოგელაშვილს?!

საბანი როგორც გაგნვდესო...

⑦

გაისად სექტემბრიდან პენსია კიდევ 10 ლარით გაიზრდება!

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე უკანონოდ ქონება-ჩამორთმეულის სახლში ცხოვრობს! ⑧

რატომ ცრუობს თამაზ შოშიაშვილი? ②

ხელისუფლებას 1 დეკემბრამდე ემზარ კვიციანის გათავისუფლების ვადას აძლევენ ③

„საყდრის-ყაჩაღიანის საბადოს პრობლემის მოუგვარებლობას, შესაძლოა, სოციალური აფეთქება მოჰყვეს“ ⑨

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ალიანჩალიანი

იუსტიციის სამინისტრო სტატისტიკას აქვეყნებს

იუსტიციის სამინისტრო ბოლო სამი თვის განმავლობაში შეჩერებული აუქციონებისა და თავიდან არიდებული იძულებითი აღსრულების შესახებ სტატისტიკურ მაჩვენებელს აქვეყნებს.

უწყების ცნობით, 2014 წლის სექტემბერ-ნოემბერში მხარეებს შორის მორიგების 1394 შემთხვევა; მორიგებით დასრულებული და, შესაბამისად, თავიდან აცილებული იძულებითი გამოსახლების — 71 შემთხვევა; მორიგების შედეგად შეწყვეტილი გამოცხადებული აუქციონისა და თავიდან არიდებული ქონების რეალიზაციის - 46 შემთხვევა; ასევე მოქალაქეებისათვის გაკეთებული ჯარიმის განწილვადების — 817 შემთხვევა დაფიქსირდა.

სამი თვის განმავლობაში დარეგულირებული ალიმენტის საქმეთა რაოდენობამ კი, 2467 ერთეული შეადგინა.

ყოველწლიური დიალოგი ლონდონში

საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის ყოველწლიური დიალოგის გახსნის ფარგლებში, ლონდონში ქართული და ბრიტანული მხარეების მონაწილეობით სხვადასხვა თემატური სესიები გაიმართა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ერთ-ერთი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის სფეროში ორი ქვეყნის თანამშრომლობას მიეძღვნა.

პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში, „ბრიტიშ პეტროლიუმმა“ პრეზენტაცია გამართა.

BP-ის მიერ გამართულ პრეზენტაციაზე ორგანიზაციამ და ქართულმა მხარემ ყველა ის პროექტი მიმოიხილეს, რომელსაც საქართველოში „ბრიტიშ პეტროლიუმის“ ეგიდით ხორციელდება. ენერგეტიკული სფეროს გარდა, მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს სხვა პერსპექტიულ თანამშრომლობაზეც, რომელიც სხვადასხვა ეკონომიკურ სფეროს მოიცავს.

ირაკლი ალასანია: ჩემი შემცვლელი წინასწარ იყო შერჩეული

ამის შესახებ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა, საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ალასანიამ რადიო „თავისუფლებისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

ყოფილი თავდაცვის მინისტრის განცხადებით, მის უწყებასთან დაკავშირებული საქმეების გააქტიურება წინასწარ იყო დაგეგმილი და პოლიტიკურად მოტივირებული.

„პრემიერ-მინისტრის ღრმა ცოდნამ ოპერატიული და საიდუმლო მასალების დეტალებისა, კიდევ უფრო გამიღრმავა ეჭვი, რომელიც ძალიან ბევრს აქვს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ — მთელი ეს კამპანია არის პოლიტიკურად მოტივირებული, რომ დაისვაროს შესაძლო და პოტენციური პოლიტიკური კონკურენტი მომავალი არჩევნების პერიოდში. მათ იცოდნენ, რომ მე ვაპირებდი ყრილობის ჩატარებას. ამასაც ვუკავშირებ სამართალდამცავი სტრუქტურის გააქტიურებას. მე არ მითქვამს, რომ ქვეყანამ გადაუხვია ევროატლანტიკური გზიდან, მე ვთქვი, რომ შეკითხვები არსებობს და შევიკრიბოთ პოლიტიკურ საბჭოზე და განვიხილოთ, მაგრამ ეს არ შედგა. აქედან გამომდინარე, მართლაც მგონია, რომ ეს ყველაფერი იყო წინასწარ დაგეგმილი, ისევე როგორც შერჩეული იყო კანდიდატურა, რომელსაც მე უნდა შევეცვალე, რადგან იმ წამსვე მოხდა ახალი კანდიდატურის დასახელება“, — განაცხადა ალასანიამ.

მისივე თქმით, ე.წ. კაბელების საქმის აღძვრის შემდეგ პროექტის განხორციელებამ აზრი დაკარგა.

◎ ვაუჩერი ყველას ერგება

თბილისის საკრებულოს ნაცმოძრაობის დეპუტატი თამაზ შოშიაშვილი „ირწმუნება“, რომ 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, სოციალური სტატუსის არმქონე პირებისთვის კომუნალური ვაუჩერის დაფინანსების მოცულობა 50 ლარამდე მცირდება.

„ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებები მხოლოდ ქაღალდზე დარჩა და მოსახლეობა მოტყუებულია. დავით ნარმანიას მიერ 14 ნოემბერს წარმოდგენილი ბიუჯეტი არ ითვალისწინებს, თუნდაც, მის მიერ 11 ნოემბერს დასახელებულ პროგრამებს. მაგალითად, კომუნალურ ვაუჩერს, რომელიც 100 ლარის ოდენობით ერიცხებოდა თბილისის მოსახლეობას, მომავალი წლიდან განახევრდება და მხოლოდ 50 ლარი იქნება. ასევე, 70 000 სარეიტინგო ქულამდე მყოფი ოჯახებისთვის კომუნალური ვაუჩერის 450 ლარამდე გაზრდა საფრთხის ქვეშ დგას“, — ცოცხალი ტყუილით მოიწონა თავი შოშიაშვილმა.

რატომ ცრუობს თამაზ შოშიაშვილი?

მერიაში კი აცხადებენ, რომ საკრებულოს ოპოზიციური ფრთა ცრუობს, როდესაც ამბობს, რომ ვაუჩერების დაფინანსების მოცულობა მცირდება.

„საკრებულოს უმცირესობის წევრებმა გაავრცელეს აბსოლუტურად ყალბი ინფორმაცია, თითქოს 2015 წლიდან თბილისში რეგისტრირებული ოჯახების კომუნალური სუბსიდირების პროგრამის ბიუჯეტი მცირდება. რეალურად, 2015 წლიდან სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის არსებული შეღავათები გაორმაგდება და 250 ლარის ნაცვლად, მათზე 500-ლარიანი სუბსიდია გაიცემა, ხოლო ყველა დანარჩენ ოჯახს 2015 წლის პირველი 3 თვის განმავლობაში, ჩვეულებრივ ჩაერიცხება 20 ლარი თვეში, როგორც ეს წინა წლებში ხორციელდებოდა“, — განმარტეს მერიაში და აღნიშნეს, რომ პროგრამის ხარვეზის გამო, დახმარებას იღებენ როგორც შეჭირვებული, ისე სოლიდური შემოსავლის მქონე ოჯახები, რაც ერთმნიშვნელოვნად არასწორი მენეჯმენტის შედეგია.

„სამწუხაროდ, დღეს არსებული პროგრამის ადმინისტრირების მექანიზმები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ოჯახებზე, რომლებიც არ არიან რეგისტრირებულები სოციალურად დაუცველთა ბაზაში, მიზნობრივად გაიცეს კომუნალური სუბსიდიის თანხა მათი საჭიროების შესაბამისად.

ამიტომ, პროგრამის სრულყოფისთვის, დახმარების მიზნობრიობის გაუმჯობესებისათვის, 2015 წელს შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც მომდევნო წლის განმავლობაში შეიმუშავებს არა სოციალურად დაუცველი, მაგრამ კომუნალური სუბსიდიის საჭიროების მქონე ოჯახებისათვის დახმარების მიზნობრივად გაცემის მექანიზმებს და მიღებული შედეგების შესაბამისად, 2015 წლის ნოემბერსა და დეკემბერში განხორციელდება ასეთი საჭიროების მქონე ოჯახების დამატებითი სუბსიდირება.

რაც შეეხება საბავშვო ბაღის პედაგოგებისთვის უფასო მგზავრობის საკითხს, ის საჭიროებს თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებას, რაც 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისთანავე იქნება მიღებული. მივმართავთ საკრებულოს უმცირესობის წევრებს, ნუ ავრცელებენ არასწორ ინფორმაციას და შეგნებულად ნუ შეიყვანენ შეცდომაში თბილისის მოსახლეობას“, — ნათქვამია განცხადებაში.

მერიის სოციალური სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი ადასტურებს, რომ სამომავლოდ კომუნალურ ვაუჩერს ყველა ოჯახი ვერ მიიღებს, ვინაიდან არიან ისეთი ოჯახები, რომელთაც სოლიდური შემოსავალი აქვთ. ისინი ისედაც არაფრად აგდებენ ვაუჩერის დარიცხვის მნიშვნელობას.

„ვინაიდან დღეს არსებული პროგრამა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მოხდეს არასოციალურად დაუცველ ოჯახებზე მიზნობრიობისა და საჭიროების განსაზღვრა, ამიტომ უნდა შეიქმნას სხვაგვარი მექანიზმი. გარდა სოციალურად დაუცველი ოჯახებისა, უნდა განისაზღვროს, ვის სჭირდება მერიის დახმარება და რა თანხით მოხდეს მათი სუბსიდირება“, — აღნიშნა ჩივიაშვილმა.

რაც შეეხება ოჯახების შერჩევის კრიტერიუმს, სოციალური სამსახურის უფროსი აცხადებს, რომ ეს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით მოხდება.

„პირველი იქნება შემოსავლები, რომელიც აღირიცხება ფინანსთა სამინისტროში. აგრეთვე არის სხვადასხვა ბაზა, მაგალითად, ინდმეწარმეობის ბაზა. საბოლოოდ, გვექნება მონაცემები ასეთი ოჯახების საჭიროების განსაზღვრისთვის“, — განაცხადა გელა ჩივიაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, კომისია გადაწყვეტს, თუ რომელ ოჯახს უნდა მიეცეს კომუნალური ვაუჩერი. იგი თბილისის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, 2015 წლის იანვარ-თებერვალში შეიქმნება.

ასე რომ, თამაზ შოშიაშვილის მსგავს ნაციონალებს და მათ არამზადა, კარგა გვარიანად მდიდარ, ბიუჯეტის და ხალხის ხარჯზე გაფულფულებულ მხარდამჭერებს ვაუჩერი არ უნდა მიეცეს!

გეჟა დანელია

◎ ჯიბის კვნესა

გვეძნება ფული? გვეძნება არსებობის საშუალებაც!

2014 წლის ოქტომბერში, საარსებო მინიმუმმა, წლის მაქსიმუმს მიაღწია და 160 ლარი და 60 თეთრი შეადგინა. „საქსტატის“ მონაცემებით, ერთი წლის განმავლობაში, საარსებო მინიმუმი — 12 ლარით, სექტემბერთან შედარებით კი 4,8 ლარით გაიზარდა. ოფიციალური სტატისტიკით, ოქტომბერში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმმა 142,3 ლარი შეადგინა, საშუალო ოჯახისამ კი - 269,5 ლარი.

ერთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი 142,3 ლარით განისაზღვრა, ექვსსულიანის და მეტის კი — 378 ლარით. საარსებო მინიმუმის ზრდას, როგორც წესი, პროდუქტებზე ფასების ზრდა განაპირობებს. 2014 წლის შემოდგომაზე, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სოფლის პროდუქტები 20-დან 100 პროცენტამდე გაძვირდა. გაორმაგებულია ფასები კარტოფილსა და პამიდორზე, ფასის 25-პროცენტიანი ზრდა კი, ხორცსა და ყველზე აღინიშნება.

ეკონომიკის ექსპერტ სოსო არჩვაძის აზრით, უკვე მოვიდა დრო, რომ საარსებო მინიმუმის ანგარიშისას სურსათის წილი შემცირდეს, რაც ნიშნავს, რომ არასასურსათო საქონლის შესაძენად განკუთვნილი თანხის რაოდენობა გაიზრდება.

„საარსებო მინიმუმს ყველა ქვეყანაში განსხვავებულად ანგარიშობენ. მაგალითად, მოწინავე ქვეყნებში სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის რაოდენობას ითვლიან. არსებობს სხვა კრიტერიუმებიც - მსოფლიო ბანკი იყენებს ისეთ კრიტერიუმს, როგორიცაა საშუალო სულადობრივი შემოსავალი დღე-ღამეში 2 დოლარის ოდენობით, ანუ ადამიანი, რომელსაც თვეში 60 დოლარის შემოსავალი აქვს, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფად არ უნდა ჩაითვალოს.

არსებობს კიდევ ერთი მეთოდი - როდესაც საარსებო მინიმუმს მოსახლეობის თვითშეფასების მიხედვით განსაზღვრავენ: გააჩნია რომელ ფენას მიაკუთვნებს ადამიანი თავის თავს — ღარიბს, მდიდარ თუ საშუალო ფენას.

საქართველოში კი, ე.წ. ნორმატიულ სტატისტიკურ მეთოდს იყენებენ: აქ აღებულია პროპორცია 70:30-ზე ანუ 70 პროცენტი მოდის სურსათზე, ხოლო დანარჩენ მომსახურებაზე — 30 პროცენტი, რაც არასწორია. მე ვფიქრობ, რომ ეს „მაგიური“ რიცხვები უნდა შეიცვალოს“, — აცხადებს არჩვაძე.

ეკონომიკის პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის საკუთარი რესურსებით საარსებო მინიმუმის ალტერნატიულ კვლევას აწარმოებს, რომელსაც უახლოეს დღეებში წარუდგენენ საზოგადოებას და რომლის მიხედვითაც, საარსებო მინიმუმი 315 ლარს შეადგენს.

ცენტრის ხელმძღვანელის ქეთი კრიალაშვილის განცხადებით, ალტერნატიული დათვლის შესახებ იციან მთავრობაშიც, მათ შორის, ჯანდაცვის მინისტრმაც. ისინი გარკვეულწილად ეთანხმებიან, რომ საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი რეალობასთან შეიძლება არ იყოს ახლოს, მაგრამ ჯერჯერობით, მთავრობა არ აპირებს საარსებო მინიმუმის გადახედვას, რადგან პოლიტიკური ნება ფინანსური უძლურობის გამო არ არსებობს.

ეკონომიკის ექსპერტთა ცენტრის ალტერნატიულ დათვლაში სასურსათო კალათა 2300 კილო კალორიიდან 2500 კილო კალორიამდეა გაზრდილი.

კრიალაშვილი „კომერსანტთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ მან გამოითხოვა ინფორმაცია „საქსტატიდან“ სასურსათო პროდუქტების შესახებ. მიწოდებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ არის მთელი რიგი პროდუქტები, რომლის ფასებიც „საქსტატმა“ არ იცის, რადგან ამ პროდუქტებზე კვლევას არ აწარმოებენ. ამ შემთხვევაში კი საკითხავია, როგორ ითვლის „საქსტატი“ საარსებო მინიმუმს.

ეკონომიკის პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის გაანგარიშებით კი საარსებო მინიმუმი 315 ლარია, საიდანაც 55% მოდის კვებაზე და 45% — არასასურსათო კალათაზე. კრიალაშვილის მტკიცებით ეს მაჩვენებელი რეალობასთან მიახლოებულია, რადგან თავად დადიან ბაზრებში და ფასები დადენილი აქვთ.

დათო მეგრელიშვილი

◎ ალიანჩალიანი

სამთო-სადაზვერვო ბატალიონი ავღანეთიდან დაბრუნდა

სპეციალური ოპერაციების ძალების სამთო-სადაზვერვო ბატალიონი, გუშინ ავღანეთიდან სამშობლოში დაბრუნდა. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით , ქართველი სამხედროები ამერიკული კონტინგენტის შემადგენლობაში 7 თვის განმავლობაში ყანდაღარის საავიაციო ბაზაზე მსახურობდნენ.

მათივე ინფორმაციით, 146 სამხედრო მოსამსახურეს სპეციალური ოპერაციების ძალების მეთაური ალექსეევკის სამხედრო აეროდრომზე დახვდა. ვიცე-პოლკოვნიკმა დიმიტრი კიკნაძემ ჯარისკაცებს სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება მიულოცა და ISAF-ის მისიის წარმატებით შესრულებისთვის მადლობა გადაუხადა.

ავღანეთში ქართველი სამხედრო მოსამსახურეები კოალიციურ ძალებთან ერთად სრული სპექტრის ოპერაციებს ასრულებდნენ. ქართველი სამხედროები სამშობლოში უდანაკარგოდ დაბრუნდნენ.

დასავლეთის პოლიტიკური შტურმი და რუსული დიპლომატიის ოცნება

დასავლეთის მხრიდან რუსეთის მიმართ უკვე ახალი ტონალობა ისმის — „მოშორდი უკრაინიდან“, — ასე მიმართა კანადის პრემიერ-მინისტრმა სტივენ ჰარპერმა რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს ავსტრალიაში მიმდინარე „დიდი ოცეულის“ სამიტზე მისალმებისას. აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ კი აღნიშნა, რომ ებოლას ცხელება და რუსეთი ერთნაირად ემუქრება მსოფლოს. კრიტიკულია გერმანიაც. მიაღწევს თუ არა რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობა პიკს და რა ტიპის სირთულეებია მოსალოდნელი საქართველოსთვის, ამ თემაზე პოლიტოლოგი კორნელი კაკაჩია გვესაუბრება.

— შეგვიძლია, ვთქვათ, რომ დასავლეთში უკვე ყალიბდება კონსოლიდირებული აზრი რუსეთსა და პუტინის რეჟიმთან დაკავშირებით. ეს პროცესი ბოლომდე არ არის მისული, თუმცა ჩანს, რომ ძირითადი კონტურები არსებობს, რის გარშემოც დასავლეთი გაერთიანდა. რაც ყველაზე გასაოცარია, ისეთი სახელმწიფოების ლიდერების ტონიც კი, როგორიცაა გერმანია, აშკარად რადიკალური გახდა, ასევეა ობამას შემთხვევაშიც, რომელიც მაინცდამაინც მკვახე გამონათქვამებით არ იყო ცნობილი, იგივე შეიძლება ითქვას ავსტრალიის პრემიერ-მინისტრზე, რომელსაც შეიძლებოდა, სხვა დროს ასეთი აქტიურობა არ გამოეჩინა.

მთლიანობაში რაც იკვეთება — საერთაშორისო თანამეგობრობა ირაზმება იმ იდეის გარშემო, თუ როგორ უნდა მოხდეს რუსეთის, პუტინის რეჟიმის შეჩერება და ეს დამოკიდებულება იკვეთება თითქმის ყველა ლიდერის პოზიციაში.

ამ ფონზე რამდენად შეიძლება რუსეთის სრულ იზოლაციამდე მივიდეს საქმე?

— სრული იზოლაცია ალბათ რთულია, ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკის მოდელიდან გამომდინარე, რადგან ქვეყნების ეკონომიკები იმდენად არის გადახლართული ერთმანეთში, მათ შორის, ევროპული და რუსული, რომ მთლიანად იზოლირება შეუძლებელია.

შესაძლებელია პოლიტიკური იზოლირება, მაგრამ ეკონომიკურად, ალბათ, უფრო გაჭირდება. თუმცა, ეს ყველაფერი მაინც დამოკიდებულია პუტინის შემდგომ ნაბიჯებზე, იმაზე, უკრაინაში კიდევ არევს თუ არა სიტუაციას.

ამ დღეებში მას უთხრეს, რომ აუცილებლად გამკაცრდება სანქციები, რაც იმაზე მტკივნეული იქნება რუსეთის ეკონომიკისთვის, ვიდრე აქამდე იყო. სხვა საკითხია, პუტინი ამ ყველაფერს რამდენად გაითვალისწინებს, მაგრამ ფაქტია, რომ დასავლეთი ამ სანქციებთან დაკავშირებით არ გაჩერდება. ეს არ ნიშნავს, რომ დასავლეთი მზად არის, იარაღი და საკუთარი ჯარი გაგზავნოს უკრაინის ან საქართველოს დასახმარებლად, მაგრამ ფაქტია, რომ ეკონომიკურ ზეწოლას კვლავ გააგრძელებენ.

— თუ გავითვალისწინებთ რუსეთის პასუხებს (ამაზე ლავროვმაც ისაუბრა და პუტინმაც), რომ დიდად არ ინაღვლებენ თუ სანქციებს არ მოუხსნიან, რომ „ცივი ომის“ ინიციატორი თავად დასავლეთია - ამ განცხადებებიდან გამომდინარე, რამდენად იგრძნობა მზაობა, რომ რუსეთი საერთოდ რაიმე დათმობაზე წასვლას აპირებს?

— ამაზე საუბარი ძალზე რთულია და ლავროვს სხვა განცხადების გაკეთების უფლება, ალბათ, არც აქვს — რუსეთი სხვა პოზიციას ვერც დააფიქსირებს, მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობამ ხომ იცის, რეალურად რაც ხდება.

ამ განცხადებებით რუსეთის ხელმძღვანელობამ შეიძლება, საკუთარი მოსახლეობის ნაწილი მოატყუოს — ჯერჯერობით ამას ახერხებს კიდეც უკრაინასთან დაკავშირებით, მაგრამ როგორც კი ეკონომიკური სანქციები ამოქმედდება და რეალური შედეგები დადგება, ესეც გაუჭირდება. ამ შედეგების დადგომას რამდენიმე წელი დასჭირდება - ექსპერტულ წრეებში ფიქრობენ, რომ სადღაც 2015 წლისთვის უკვე რეალურად იქნება გამოხატული კრიზისის ნიშნები. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ძალიან დიდი დროა ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც უკრაინაა.

რაც შეეხება რუსეთის მზაობას დათმობებითვის, ყველაზე ცუდი ის არის, რომ დასავლეთში ჯერჯერობით ვერ ჩამოყალიბდა ერთიანი აზრი - კი, ყველა თანხმდება, რომ ეკონომიკური სანქციები უნდა დააწესონ, მაგრამ იმაზე ვერ შეთანხმდნენ და არ ჩანს საერთო აზრი, რომ თუ რუსეთი, დავუშვათ, თეორიულად, წამოვიდა დათმობაზე, რას მოითხოვს დასავლეთი მისგან? ეს არის ყირიმიდან გასვლა, აღმოსავლეთ უკრაინიდან გასვლა თუ სხვა რამ? — როდესაც გაურკვეველი მიზნებია, ესეც აფერხებს ამ სიტუაციას.

რუსეთი, როგორც ჩანს, ყველაფერს არ დათმობს და ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, რა ეკონომიკური მდგომარეობა შეიქმნება. თუ სანქციებმა შედეგი გამოიღო, რუსეთს, ალბათ, მოუწევს დათმობებზე წასვლა, თუმცა, გარკვეული დათმობები შესაძლოა, დასავლეთსაც მოუხდეს. თუმცა, კიდევ ვამბობ, როდესაც დასავლეთის კონკრეტული მიზნები არ ჩანს, ძნელია, განსაზღვრო, როგორ შეიძლება, დამთავრდეს მოლაპარაკებები.

— სამაგიეროდ, რუსეთის პოზიცია ჩანს მკვეთრად. მას აღიზიანებს ნატოს საწვრთნელი ბაზები და პუტინმა კიდევ ერთხელ აღნიშნა — „რუსეთის საწვრთნელი ბაზებია მთელ მსოფლიოში განლაგებული თუ ნატოსი“ — რამდენად შეიძლება, აღნიშნული საკითხი გახდეს რუსეთსა და დასავლეთს შორის სალაპარაკო თემა?

— ამ საკითხზე მოლაპარაკებები ჯერჯერობით უჭირს რუსეთს, განსაკუთრებით უჭირს ამერიკელების დათანხმება, მაშინ, როდესაც ევროპელების ნაწილთან ეს პრობლემა არ არის და ბოლო პერიოდში ისეთი ნიშნებიც ჩანს, რომ რუსეთის დიპლომატია ცდილობს, ევროკავშირი ჩაითრიოს მოლაპარაკებებში უკრაინასთან დაკავშირებით, ხოლო საპირწონე იყოს ევრაზიული კავშირი.

ეს ძალზე ცუდი პრეცედენტი იქნება და ძალიან კარგად უნდა ესმოდეთ ევროკავშირის ქვეყნებს, რომ ეს რუსული დიპლომატიისთვის მისაღები ფორმულაა - ევრაზიის კავშირი, რომელიც დღეს ქაღალდზეა და სულ რამდენიმე სახელმწიფოს შესაძლო გაერთიანებაზეა საუბარი, იგი სურთ, წარმოსახონ ევროკავშირის საპირწონედ, ისევე, როგორც ნატოს საპირწონედ წარმოსახავენ „ოდკბ“-ს (კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია).

ამას თუ მიაღწია რუსულმა დიპლომატიამ, უნდა ჩავთვალოთ, რომ ეს ძალზე ცუდი მაგალითი იქნება პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის. ამით კიდევ ერთხელ დაფიქსირდება, რომ რუსეთს აქვს გავლენის სფეროები. რაც მთავარია, მას აქვს ბერკეტები ამ ორგანიზაციების სახით და გეგმაც — როგორ უნდა მოახდინოს უახლოესი მეზობლების ჩართვა ამ ორგანიზაციებში.

— ევროპა რამდენად არის ამაზე წამსვლელი?

— ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი ევროპელი ამ საკითხს განიხილავს. რა თქმა უნდა, არ არის ჩამოყალიბებული საბოლოო აზრი, მაგრამ არსებობს რიგი ევროპული ძალები, რომლებიც თვალს დახუჭავენ ყველაფერზე, ოღონდ კი კონსენსუსს მიაღწიონ.

შეერთებული შტატების პოზიცია განსხვავებულია, მისთვის ეს პოზიცია მიუღებელია და ეს აღიზიანებს რუსეთს - მას სურს, რომ ამ თემაზე მოლაპარაკებათა მაგიდასთან ამერიკა იხილოს, მან აღიაროს რუსეთის გავლენის სფეროები პოსტსაბჭოთა სივრცეზე, რასაც ამერიკა შეგნებულად არ აკეთებს.

— ბოლო ინფორმაციით, საქართველოში ნატოს საწვრთნელი ცენტრის შექმნასთან დაკავშირებული დეტალები ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტერიალზე გახდება ცნობილი. ეს ნიშნავს თუ არა, რომ საქართველოსთან მიმართებაში რუსეთი კვლავ ხისტ პოზიციას გამოავლენს?

— როგორც კი ეს საკითხი გააქტიურდება, უნდა ველოდოთ, რომ მაშინვე გააქტიურდება ცხინვალის რეგიონის ინტეგრაციის საკითხი რუსეთთან. ის, რაც აფხაზეთთან დაწყებულია და დაძრულია, ალბათ, საბოლოოდ შეიძლება გაფორმდეს. რაც უფრო წინ წავა საქართველო ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით, მით უფრო გაქტიურდება რუსეთისა და ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი.

— დასავლეთისგან რა ტიპის დახმარების იმედი შეიძლება გვქონდეს ასეთ სიტუაციაში?

— დასავლეთს შეუძლია ერთი — არ აღიაროს და ამას აკეთებს კიდეც, შეუძლია ზეწოლაც მოახდინოს, მაგრამ კონფლიქტურ რეგიონებში სიტუაციის შესაცვლელად არც მას და არც ვინმე სხვას ბერკეტები არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, მორალური და პოლიტიკური მხარდაჭერა გვექნება, მაგრამ ის, რომ რეალური სიტუაცია შეიცვალოს, ეს არ იქნება იქამდე, ვიდრე თავად რუსეთში არ შეიცვლება სიტუაცია - რეჟიმის შეცვლა ან ტრანსფორმაცია არ მოხდება, რომლის ნიშნები ჯერჯერობით არ ჩანს.

— ასეთ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლების ოპტიმალური პოზიცია რა შეიძლება იყოს?

— ალბათ, მეტი სინქრონიზაცია აღმოსავლეთ ევროპის, ბალტიისპირეთის ქვეყნებთან, იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან, რომლებიც მეტ-ნაკლებად ისეთ სიტუაციაში არიან, როგორშიც საქართველოა. ასევე სასურველია უფრო მეტი ჩართულობა საერთაშორისო ორგანიზაციებში, ნატოსა და განსაკუთრებით, ევროკავშირთან მიმართებაში, ასევე აუცილებელია მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც რაღაცნაირად უზრუნველყოფს, რომ საქართველო არ აღმოჩნდეს პირველი დარტყმის მიმღები, თუ სიტუაცია კიდევ უფრო გართულდა პოსტსაბჭოთა სივრცეში.

— რა იგულისხმება პირველ დარტყმაში?

— როგორც კი რუსეთმა იმპერიული თამაშები დაიწყო, პირველი ომი საქართველოსთან ჰქონდა. ამ შემთხვევში, უკრაინაა მისი მსხვერპლი. საინტერესოა, ვინ იქნება შემდეგი — მოლდოვა, ყაზახეთი, საქართველო თუ რომელი ქვეყანა?!

ისეთი პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ, რომელიც გარანტიას მოგვცემს, რომ რუსეთთან პირისპირ მარტო არ აღმოვჩნდებით, თუ სიტუაცია დაიძაბა. ამიტომაც არის სინქრონიზაცია საჭირო ჩვენს მეზობლებსა და მოკავშირეებთან რუსეთის პოლიტიკის ბალანსირების თვალსაზრისით.

ლალი ზირაქიშვილი

კაკალ გულში

— ქუდი რატო არ გახურავს ბიჭო!
— ჰიმნს ვუსმენ ძმაო!

განვადებით ვინც დამმარხოს, მომეწიეთ უკან!

საარსებო მინიმუმმა 160 ლარს და 60 თეთრს მიაღწიაო!

გამოდის, რომ მინიმალურადაც აღარ ვარსებობ.

დღეს 4 პოლიციელს დაკავებული ჰყავდა ახალგაზრდა კაცი.

2 ხელებს უგრეხდა, ერთი ქუდს ახურავდა და მეოთხე ჰიმს ასმენინებდა!

ახლა პარლამენტის სიას გადავხედე და წარმოშობით პარლამენტარი, მხოლოდ სესია-შვილი აღმოჩნდა.

არის შეიარაღებული ფრაქცია: თოფაძე, ხმალაძე; ფრაქცია „პურიჭამია ბიჭები“: ღვინიაშვილი, ტყემალაძე, სამხარაული და კომპოზიტორთა ფრაქცია: ბუკია, დოლიძე, თაქთაქიშვილი. ვინ იცის, კიდევ რამდენი საიდუმლო არს დამარხული პარლამენტსა შინა...

წერილოვანი ოჩაზები

● გავარტყი მსოფლიო ბანკის და ფიჩის რეიტინგებს, ამაზე მაგარი ეკონომიკური „პაკაზაწელი“ რაღა უნდა იყოს, რომ ხალხს დასამარხი ფულიც აღარ შეარჩინეს და განვადებით დაკრძალვაზე გაჩნდა მოთხოვნა!

● ყველაზე ძაან ბაიკერებს დაერხათ — თუ მოტოციკლით მგზავრობისას ჩაირთო ჰიმნი, ან ჩაფხუტი უნდა მოიხადო, რის გამოც ჯარიმაა, ან ჩაფხუტით უნდა მოუსმინო და მაინც ჯარიმაა...

● პრინციპში, მე თუ მკითხავთ ვაგზალზე სამი ლარი ღირს გასაღების გამრავლება... ერთი ხომ უნდა ჰქონდეს ნორლანდს, ხომ მეთანხმებით? თითო-თითო — გიგაურს და კოჟორიძეს, ნუ მერე უკვე პოუსმოტრენიუუუ....

● რომ ვუფიქრდები, ძალიან მძიმე სურათი იხატება, ნაცსექტანტები საკუთარ მხარდამჭერებს კბილებით იცავდნენ და ყველანაირად უწყობდნენ ხელს მათ დასაქმებას თუ მატერიალურ უზრუნველყოფას, ესენი ისევ ნაციონალების გარემოცვაში არიან, ყველა სფეროში ისევ სექტის წევრები არიან დასაქმებულნი, საკუთარ მხარდამჭერებს ყველანაირად აიგნორირებენ და საბოლოოდ რას მივიღებთ ძალიან ვწუხვარ და მაშფოთებს ეს ამბავი როგორც ისევ „ოცნების“ მხარდამჭერს...

● დარწმუნებული ვარ ეს ზურაბ ტყემალაძე 1004-ს „პერერივზე“ ხარჯავს. სულ არ კიდია ხალხის ფულები და ბიუჯეტი? უკვე ისე განაგლდნენ შეურაცხყოფასაც არ ერიდებიან სახალხოდ და პენსიონერებს ხალხად არ თვლიან...

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ალიანჩალიანი

ხელისუფლებას1 დეკემბრამდე ემზარ კვიციანის გათავისუფლების ვადას აძლევენ

კოალიცია „ქართული ოცნების“ ოფისთან ემზარ კვიციანის მხარდამჭერების საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციაში მონაწილეობას კვიციანის ოჯახის წევრები, ახლობლები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები იღებდნენ.

აქციის მონაწილეებმა ხელისუფლებას პირველ დეკემბრამდე მისცეს ვადა ემზარ კვიციანის გათავისუფლებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი საპროტესტო აქციებს გააგრძელებენ. მათივე თქმით, ეს აქციები უფრო რადიკალურ ფორმებს მიიღებს.

◎ მთავარი ამოცანა

„საქართველოს გამთლიანება – უპირველეს ყოვლისა“!

ამ რამდენიმე დღის წინათ, მთელი ამბავი ატეხა კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალმა ერთ-ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ, არიქა, ქართული სახელმწიფოს საგარეო კურსი საფრთხის ქვეშ არისო და ის ხელისუფლება დაადანაშაულა ამაში, რომლის სრულუფლებიანი წევრი თავად იყო 2 წლის განმავლობაში. გასაკვირი ის გახლავთ, რომ ამ პოლიტიკურმა განცხადებამ ისეთი გამოხმაურება ჰპოვა მთლიანად ქართულ საზოგადოებაში, თითქოს ეს საქართველოს, როგორც ქვეყნის და თუ გნებავთ, სახელმწიფოს დასასრულის მომასწავებელი ყოფილიყოს?!

რა თქმა უნდა, ორი აზრი არ არსებობს, რომ სუვერენული სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია ის, რომ მას შეუძლია დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოება და შესაბამისი კურსის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ამ სახელმწიფოს უსაფრთხოებას, ტერიტორიულ მთლიანობას (!) და განვითარებას!

აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს საგარეო სტრატეგიული პოლიტიკური ვექტორი, თუ ვერ აკმაყოფილებს ამ სამ მოთხოვნას (უსაფრთხოებას, ტერიტორიულ მთლიანობას, განვითარებას), მაშინ იგი მოითხოვს გადახედვას და შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ერის სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანებთან! დიახ, და არა აქვს სასიცოცხლო მნიშვნელობა იმას, თუ იმჟამად, რა პოლიტიკური სისტემა მოქმედებს და რა ფორმაციასთან გვაქვს საქმე, რადგანაც, სახელმწიფო ფორმაციები იცვლება, ხოლო ერის სტრატეგიული სასიცოცხლო ინტერესები მარადიულია!

ამიტომაც, ასეთი პოლიტიკური და საზოგადოებრივი საპროტესტო რეაქცია, რომელზეც ზევით მოგახსენეთ, უნდა გამოეწვია იმ მთავარ საფრთხეს, რასაც საქართველოს 2 რეგიონის (აფხაზეთი, ცხინვალის მხარე) ანექსიის საფრთხე ჰქვია (რომლითაც, დღეს ცდილობენ მანიპულირებას „ნაცები“, სწორედ მათი ბელადის და ლიდერების უგუნურებით და მეოხებით, რუსეთმა ჩვენი ისტორიული მხარეების ოკუპაცია განახორციელა – 2008 წლის აგვისტოში!)!

აი, ეგაა უბედურება, რომ ხელისუფლებიდან დაწყებული რიგით ქართველით დამთავრებული, ვერ და არ ჩამოვყალიბდით იმაში, თუ რა არის მთავარი საკითხი საქართველოსთვის! არადა, ეს გაურკვევლობა და ჩამოუყალიბებლობა, საბედისწეროდ მცდარ გზაზე ატარებს ქვეყანას!.. თითქოს რაღაც ბანგი შეასვესო ქართველ ხალხს, ისეა გონება აბნეული ჩვენი საზოგადოება და ერთმანეთისთვის იარლიყების მიწებებით უნდათ საკუთარი „მამულიშვილობის დამტკიცება“!..

იმ შემთხვევაში, თუ დროულად არ გამოფხიზლდა ერი, როგორც დღეს ტაო-კლარჯეთს გავყურებთ „შორიდან“ და მისხალი შანსი არ არსებობს (პოლიტიკური!) მის დასაბრუნებლად, იცოდეთ, რომ ისევე იქნება აფხაზეთ-ჩრდილო ქართლთან მიმართებით!.. სრული სიცრუე და თავის მოტყუებაა ის, თითქოს, რუსეთის დაშლით ან პუტინის უეცარი სიკვდილით, ან კიდევ რუსული მმართველობის ოდესმე ტრანსფორმაციით და დემოკრატიზაციით შესაძლებელი იქნება, რომ დავიბრუნოთ სოხუმი და ცხინვალი!..

გაიხსენეთ, რამდენი მმართველი და რამდენი პოლიტიკური ფორმაცია შეიცვალა საუკუნეების მანძილზე თურქეთში, და რა, – შევძელით ტაო-კლარჯეთის დაბრუნება (გნებავთ, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან საინგილოსა და ლორე-ტაშირის დაბრუნება საქართველოს წიაღში)?! ფაშიზმზე, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების უპირველესმა შემომქმედმა და მსოფლიოს ერთ-ერთმა მთავარმა „გადამანაწილებელმა“ (რუზველტსა და ჩერჩილთან ერთად), – იოსებ სტალინმა, მიუხედავად დიდი მცდელობისა (ისტორიკოსები დამეთანხმებიან), ვერ შეძლო საქართველოს ისტორიული მხარის დაბრუნება – „თურქეთის საქართველოდან“, თუმცა, პრინციპულად დააყენა ეს საკითხი მოკავშირეების (აშშ, დიდი ბრიტანეთი) წინაშე!..

და, როგორ ფიქრობთ, ყოველივე ამის გათვალისწინებით, უკაცრავად და, ეს ჩვენი უხერხემლო, „გარეთ მომზირალი და სხვებზე დამოკიდებული“ ქართველი პოლიტიკოს-ექსპერტები, ახლანდელი თუ მომავალი (ისინიც ამდაგვარები იქნებიან, თუ ასე გაგრძელდა საქართველოს საქმე) თაობები შეძლებენ ამას?! „მეტი არ იხაროს მტერმა, ჩვენს ზედა“!..

მით უმეტეს, მხოლოდ ღმერთმა იცის, თუ როგორი იქნება მსოფლიო გეოპოლიტიკური კონტექსტი 5, 10, თუ 20 წლის შემდეგ?! ამიტომ, მოცემულ ისტორიულ ეტაპზე, როცა ქართველმა ერმა უამრავი გაჭირვება გადაიტანა და ახლაც ებრძვის სიდუხჭირეს, მან უნდა გამოკვეთოს მისი ყველაზე დიდი ეროვნული სატკივარი და მიზანი, თორემ თუ გავჩუმდით და ხმა არ ამოვიღეთ, არ ვიმოქმედეთ, მაშინ იგივე დაგვემართება, რაც ტაო-კლარჯეთში და სხვა შემთხვევებშიც, ანუ, ასევე მოხდება აფხაზეთ-ჩრდილო ქართლში, – ყველაფერი დაგვიანდება!! დიახ, იმედია, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი და საღ ჭკუაზე მყოფი ქართველი ერის უდიდესი უმრავლესობის მთავარი მიზანია, გამთლიანებული საქართველო – უპირველეს ყოვლისა!!!...

ჯუმბერ კირვალიძე,
პოლიტოლოგი

◎ ნაციონალების ტენდენციები ნაწილობრივ გაგრძელდა

ჩაშლილი ტენდერების საიდუმლო

ბოლო ხანს, სახელმწიფოს მიერ ჩატარებული საეჭვო ტენდერების შესახებ ბევრს ბჭობენ და კამათობენ: ექსპერტებიც და ხელისუფლების წარმომადგენლებიც ერთხმად აცხადებენ, რომ ამ სფეროში ყველაფერი რიგზე არ არის. სწორედ ამიტომ, პარლამენტი ჩატარებული ტენდერების შესწავლას აპირებს, ხოლო თუ სერიოზულ დარღვევებთან გვექნება საქმე, საკითხს უკვე სამართალდამცავი ორგანოები მიხედავენ.

ჩვენთან საუბრისას საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **პაატა კვიჟინაძემ** იმ სქემებზე გაამახვილა ყურადღება, რომლის გამოც შესაძლოა, ტენდერი ჩაიშალოს, ან ვერ შესრულდეს:

– ხშირად ტენდერს იგებს ის, ვინც ყველაზე დაბალ ფასს ასახელებს. შეიძლება ორ კომპანიას ერთნაირი ტექნიკური პირობები ჰქონდეს, მაგრამ ერთმა გაიმარჯვოს, თუმცა, მერე სატენდერო პირობები აღარ შეასრულოს. შეიძლება ტენდერი, რომელიღაც სუბიექტის წყალობით ჩაიშალოს და შემდეგ ჩატარდეს, რის გამოც ვერ გაიმარჯვოს კომპანიამ, რომელსაც მოგების რეალური შანსი ჰქონდა. შესაძლოა, ტენდერის შესახებ ინფორმაცია დროულად არ გამოქვეყნდეს და ყველა მსურველმა ვერ მიიღოს მონაწილეობა... მსგავსი სქემები უამრავია. ასეთი დარღვევები ყოველთვის, ყველა ქვეყანაში იქნება, მაგრამ მთავარია, გამოუძიებელი არ დარჩეს, მათ გამოძიებაზე კი, სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა იზრუნონ. ამ საკითხზე პარლამენტი უკვე მუშაობს. როდესაც საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება, ყველა დავინახავთ, თუ რა დარღვევები იყო ამ სფეროში.

საქართველოს განვითარების კვლევის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა **გია ხუხაშვილმა** bpn.ge-სთან საუბრისას აღნიშნა, რომ ტენდერებთან დაკავშირებით ქვეყანაში მართლაც ბევრი პრობლემა შეინიშნება:

გია ხუხაშვილი: **„სერიოზული პრობლემები იკვეთება სატენდერო პირობების ფორმირების ეტაპზეც და უკვე შემდგომ, სხვადასხვა ტენდერის რეალიზაციის დროსაც. მე ვფიქრობ, რომ ეს სისტემურად დასალაგებელი თემაა, რაც სახელმწიფომ ვერა და ვერ მოახერხა – ვერ შეძლო, რომ ერთიანი, გამართული სისტემა აამუშაოს. ეს არ ეხება მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს. იგივე პრობლემები გვაქვს სხვადასხვა სამინისტროში ჩაშლილი ტენდერების გამოც. ესეც სერიოზული პრობლემაა. იმავე ინფრასტრუქტურის სამინისტროში, რომელსაც ერთ-ერთ წამატებულ უწყებად მიიჩნევენ, ფულის სრულად ათვისება ვერ ხერხდებოდა დავით ნარმანიას მინისტრობის დროსაც, იმიტომ, რომ ტენდერები ხშირად იშლებოდა. ამის გამო სახელმწიფო ძალიან დიდ ზარალს ნახულობდა და ნახულობს, რადგან ახალი ტენდერის გამართვამდე დიდი დრო იკარგება და საბიუჯეტო სახსრების ათვისების პრობლემა ჩნდება. სულ არ არის აუცილებელი ჩინოვნიკი რაიმეს აშავებდეს, შეიძლება პრობლემა შეიქმნას მისი არაკვალიფიციურობის, ზედმეტი სიფრთხილისა და უუნარობის გამოც, რითაც შემდეგ ძალიან კარგად სარგებლობენ მეწარმე სუბიექტები.**

ხშირ შემთხვევაში ტენდერების ხელოვნურად ჩაშლის ფაქტებსაც ვხვდებით: როდესაც ვიღაც გრძნობს, რომ ტენდერის მოგება არ შეუძლია, ამ დროს მთელი პროცესის საბოტირების გზას მიმართავს. ასე რომ, პრობლემა მრავალწახნაგოვანია, აქ ერთი რომელიმე მიზეზის, თუნდაც კორუფციის დანახვა არ არის აუცილებელი. ამიტომ ხელისუფლებას მეტი დაფიქრება სჭირდება იმისათვის, რომ ერთიანი, ჯანსაღი სქემა შეიმუშაოს და ქვეყანაში ამგვარი მოვლენები აღარ მოხდეს. არაკვალიფიციურობა, ბუნდოვანი პირობები, სატენდერო ვადების ხელოვნურად შემცირება და ვიღაცის უკეთეს მდგომარეობაში ჩაყენება – მიზეზი საკმარისზე მეტია. ტენდერების ჩაშლის, ან შეუსრულებლობის კონკრეტულად ერთი მიზეზი რომ დაგისახელოთ, ეს შეუძლებელია. ამავე დროს, ძალიან ბევრი შემთხვევა ერთმანეთს არა ჰგავს, არის ძალიან ბევრი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორი, რომლის გათვალისწინებაც ზოგადი ფორმულის სახით შეუძლებელია. სქემებიც განსხვავებულია – წინასწარ განზრახვით ჩადენილი, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, არაკომპეტენტურობითა და არაპროფესიონალიზმით გამოწვეული პრობლემები და ა.შ... სამწუხაროდ, ნაციონალების დროს არსებული ტენდენციები ნაწილობრივ გაგრძელდა, მაგრამ ახლა სუბიექტური ფაქტორი უფრო გაძლიერდა იმიტომ, რომ ადრე ტენდერის საბოტირებას ვერავინ გაბედავდა, მაშინ ეს დასჯადი ქმედება იყო, ახლა კი, დაუსჯელობის სინდრომიც მოქმედებს. სწორედ ამ მიზეზებმა გამოიწვია ის, რომ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ჯეროვნად ვერ ავითვისეთ“.

ეკონომიკის ექსპერტ **ლევან კალანდაძის** შეფასებით, ამ სფეროში არსებული ხარვეზები უფრო სახელმწიფოს პრობლემაა და არა – ტენდერებში მონაწილე კომპანიებისა:

– მე გამართლებულად არ მიმაჩნია ბიზნესისკენ თითის გაშვერა და იმის თქმა, რომ ტენდერების პირობები არ სრულდება. რატომღაც მგონია, რომ ეს საკუთარი შეცდომებისა და ბრალეულობის სხვისთვის გადაბრალების მცდელობაა. ვერავინ უარყოფს, რომ დღეს მხარჯველ ორგანიზაციებში სერიოზული პრობლემებია, აშკარად იკვეთება მენეჯმენტისა და კომპეტენციის პრობლემაც. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მაგალითზე: ყველაზე დიდი ჩამორჩენა და ყველაზე მეტი აუთვისებელი თანხა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში სწორედ ინფრასტრუქტურის სამინისტროზე მოდის. მე მგონია, რომ ამ სამინისტროში სერიოზული პრობლემებია მენეჯმენტის, საქმის ორგანიზებისა და საქმის გაძღოლის მხრივაც. ყოვლად წარმოუდგენელია, რომ არსებობდეს თანხა პროექტის შესასრულებლად და სამინისტრო მას ვერ ითვისებდეს. ის, რომ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გარღვევის დიდი წილი სწორედ ინფრასტრუქტურის სამინისტროზე მოდის, დაფიქრებისა და სულ სხვა დასკვნების გამოტანის მიზეზი უნდა გახდეს. მე მაინც მგონია, რომ ხელისუფლებამ სერიოზულად უნდა გადახედოს ამ სამინისტროში მენეჯმენტისა და კომპეტენციის საკითხს. ღიმილისმომგვრელია, როდესაც ვიღაცას აბრალებენ, ქვეყანაში ინფრასტრუქტურული პროექტები არ სრულდებაო. თუ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია ვერ უზრუნველყოფს საქმის შესრულებას, ეს უფრო სახელმწიფო ინსტიტუტების ბრალია და არ შეიძლება ამის გამო ვიღაცამ ხელი ბიზნესს შეაწმინდოს. ბოლო ხანებში მოდაში შემოვიდა, რომ სხვისთვის გადაბრალებით დაფარონ საკუთარი უუნარობა, მაგრამ ეს არაფრის მომტანი გზაა, უფრო მეტიც – ასეთი დამოკიდებულება პრობლემებს უფრო აღრმავებს.

ხათუნა ჩიგოგიძე

„უჩემოდ ვით იმღერეთა!“

ანექსიის კიდევ ერთი საფრთხე: რას ითვალისწინებს რუსეთ-სამხრეთი ოსეთის მოკავშირეობისა და ინტეგრაციის ხელშეკრულება?

როგორც ცნობილია, გუშინ, 19 ნოემბერს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა სახელმწიფო სათათბიროში „სამთავრობო საათზე“ გამოსვლისას, ერთ-ერთი დეპუტატის შეკითხვაზე, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს, რუსეთ-აფხაზეთისა და რუსეთ-სამხრეთი ოსეთის ხელშეკრულებებს ეხებოდა, განაცხადა, რომ მოსკოვი მზადაა, განაგრძოს საქართველოსთან ურთიერთობის ნორმალიზება, თუმცა, იქვე აღნიშნა, რომ მზადდება ახალი ხელშეკრულებები, რომლებიც აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან რუსეთის ურთიერთობას განამტკიცებს.

ქართულ და რუსულ მასმედიაში უკვე ძალიან ბევრი დაიწერა რუსეთ-აფხაზეთის ხელშეკრულების პროექტზე, ამ დოკუმენტის განხილვაზე სეპარატისტული აფხაზეთის პარლამენტში, ორივე მხარის პოზიციებზე, ექსპერტ-პოლიტოლოგთა შეფასებებსა და კომენტარებზე. რაც შეეხება მოსკოვ-ცხინვალის სამომავლო ხელშეკრულების პროექტს, ამ დოკუმენტის შესახებ მასმედია, შეიძლება ითქვას, დუმილს ამჯობინებს. არადა, „რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთი ოსეთს შორის მოკავშირეობისა და ინტეგრაციის ხელშეკრულების პროექტიც“ არანაკლები საფრთხის მომტანია საქართველოსთვის.

როგორი იქნება რუსეთის მიერ სამხრეთი ოსეთისთვის შეთავაზებული დოკუმენტის შინაარსი? ამ კითხვაზე ნაწილობრივ გასცა პასუხი „სამხრეთ ოსეთის პარლამენტის“ თავმჯდომარემ ანატოლი ბიბილოვმა 11 ნოემბერს, რუსეთის საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტისადმი“ მიცემულ ინტერვიუში. მისი თქმით, „ხელშეკრულებაში ასახული იქნება რესპუბლიკის საბაზო ინტერესები“. ჯერჯერობით, დოკუმენტის ტექსტზე მუშაობა არ დასრულებულა და ის მზად მიმდინარე წლის ბოლომდე იქნება. რუსეთის მიერ ანალოგიური ხელშეკრულება შემუშავებულია აფხაზეთთან დაკავშირებითაც, რომლის განხილვა აფხაზეთის პარლამენტში დასასრულს უახლოვდება. ანატოლი ბიბილოვმა აღნიშნა, რომ სამხრეთი ოსეთი უფრო მეტად ესწრაფვის რუსეთთან ინტეგრაციას, ვიდრე აფხაზეთი და ეს ხელშეკრულების პროექტში, რომელიც ერთობლივად მზადდება ორივე მხარის მიერ, ხაზგასმული იქნება.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, **„ჩვენ დაინტერესებულნი ვართ რუსეთთან მაქსიმალური ინტეგრაციაში სხვადასხვა მიმართულებებით — არა მხოლოდ უსაფრთხოების სფეროში, არამედ სოციალურშიც. ამ ხელშეკრულების რეალიზება აისახება ცხოვრების დონეზე, ხელფასებზე და საპენსიო უზრუნველყოფაზე. დოკუმენტის ცალკე მიმართულება უნდა გახდეს, ჩვენი აზრით, საბაჟო საკითხების სრული გადაწყვეტა“.**

ანატოლი ბიბილოვმა განმარტა, რომ საქართველოსთან არსებული საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და კონტრაბანდული საქონლის მოძრაობის აღკვეთის შემდეგ საბაჟო პუნქტის მოწყობა რუსეთ-სამხრეთ ოსეთის საზღვარზე საჭირო აღარ იქნება. **„უფრო ლოგიკური იქნებოდა საბაჟო კონტროლის განხორციელება არა ჩრდილოეთსა და სამხრეთი ოსეთს შორის, არამედ სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის“,** — აღნიშნა პარლამენტის სპიკერმა.

შეკითხვაზე, თუ როგორ იქნება აღქმული დეპუტატების მიერ რუსეთ-სამხრეთ ოსეთის ხელშეკრულების პროექტი, ანატოლი ბიბილოვმა განაცხადა, რომ **„პარლამენტში უმრავლესობა პარტია „ერთიან ოსეთს“ უკავია, რომლის პროგრამა-მინიმუმი სწორედ რუსეთთან ინტეგრაციაა (პროგრამა-მაქსიმუმი კი რუსეთის შემადგენლობაში შესვლას ითვალისწინებს). შესაბამისად, შეიძლება იმის წინასწარ გათვლა, რომ პარლამენტში განხილვის დროს ხელშეკრულება აბსოლუტური უმრავლესობით იქნება მოწონებული და რატიფიცირებული“.**

უფრო ადრე, 30 ოქტომბერს, სამხრეთ ოსეთის ყოველკვირეულ გაზეთ **„რესპუბლიკაში“ პარლამენტის ყოფილი სპიკერი და ამჟამინდელი დეპუტატი სტანისლავ კოჩიევი აღნიშნავს: „რუსეთ-სამხრეთ ოსეთის ხელშეკრულება განხილული და ხელმოწერილი წლის ბოლომდე იქნება. რასაკვირველია, ეს დოკუმენტი ერთ დღეში არ მომზადებულა, მასზე მუშაობა რამდენიმე თვის წინათ დაიწყო და პერმანენტულად გრძელდებოდა. ხელშეკრულების ახალ პროექტში არის ზოგიერთი რამდენიმე ისეთი პუნქტი, რომლებთაც რუსეთ-აფხაზეთის ერთობლივი დოკუმენტიც შეიცავს. ამ ხელშეკრულების პროექტი სავსებით იზიარებს სამხრეთ ოსეთის ინტერესებს და, შეიძლება ითქვას, ახლაც მზადაა ხელმოსაწერად“.**

თავის მხრივ გაზეთი წერს, რომ **„თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ გაუგებარია ის გასაიდუმლოებული გარემოება, რომელიც დოკუმენტის ირგვლივაა შექმნილი. ჩვენგან განსხვავებით, მსგავსი ხელშეკრულება აფხაზეთში ყველას თავისუფლად შეუძლია წაიკითხოს“.**

მოამზადა
სიმონ კილაძემ

„ზოგი ასე უბერავს“...



„უკრაინული კვერცხების“ საქმე

უკრაინული **წარმოშობის კვერცხი ქართულ ჯარს უკვე ორი კვირაა ტენდერის გვერდის ავლით მიეწოდება, — ამ განცხადებას მეფრინველეობის განვითარების ასოციაციის თავმჯდომარე ზურაბ უჩუმბეგაშვილი აკეთებს, რომელიც ამასთანავე კომპანია „კუმისის“ დამფუძნებელიცაა.**

„კომერსანტთან“ საუბარში ის აცხადებს, რომ თავდაცვის სამინისტრო უცხოურ წარმოებას ლობირებს და ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობას არ ახდენს.

მისი თქმით, 2 კვირის წინათ საქართველოში უკრაინული, იმპორტირებული კვერცხი შემოვიდა და პირდაპირ ჯარის ნაწილებში შევიდა.

ზურაბ უჩუმბეგაშვილი ტენდერის გვერდის ავლით, უკრაინული კვერცხის სამინისტროში მოხვედრის სქემას შიფრავს: **კვერცხი სხვა ფირმამ შემოიტანა, შემდეგ გადააწერა რომელიმე შუამავალ — ქართულ ფირმას, რომელსაც, რა თქმა უნდა, საბუთი ექნება იმაზე, რომ ქართული კვერცხია და მხოლოდ ამის შემდეგ მოხვდა ჯარში.**

ზურაბ უჩუმბეგაშვილის განცხადებით, მას აქვს ამ ბრალდებების დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება, დოკუმენტის სახით და მას საჭიროების შემთხვევაში აუცილებლად წარმოადგენს.

თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ უწყების კვებით მომარაგებას „ქართული კვების კომპანია“ ახორციელებს, რომელიც სხვადასხვა სახის მომსახურებაზე თავად აცხადებს ტენდერს. მათი განცხადებით, უწყებაში ჩატარებული ყველა ტენდერი გამჭვირვალეა.

შპს „ქართული კვების კომპანიის“ შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი გივი ლომიძე აცხადებს, რომ თავდაცვის უწყებას ამ ეტაპზე ტენდერის საფუძველზე გამარჯვებული კომპანია შპს „პოულტრი ჯორჯია - კოდა“ ამარაგებს. მისი თქმით, კომპანიასთან მიწოდების ხელშეკრულება 2014 წლის 24 ივნისიდან 2015 წლის 15 იანვრის ჩათვლით აქვს გაფორმებული.

„კომერსანტი“ „კოდას“ანუ, შპს „პოულტრი ჯორჯიასაც“ დაუკავშირდა, სადაც დაადასტურეს შპს „ქართული კვების კომპანიასთან“ თანამშრომლობა, თუმცა, კატეგორიულად უარყოფს, რომ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას ოდესმე გამოუყენებიათ იმპორტირებული კვერცხი.

მათი ინფორმაციით, 6 თვის განმავლობაში კომპანია „კოდამ“ შპს „ქართული კვების კომპანიას“ ჯამში 1.5 მილიონი კვერცხი უნდა მიაწოდოს. ერთი კვერცხის ღირებულება კი დაახლოებით 24 თეთრს შეადგენს.

„კოდაში“ აცხადებენ, რომ კომპანიას ტენდერით აღებული ვალდებულებების შესრულების რესურსი სრულად გაჩნია და თავდაცვის უწყებას კვერცხით უპრობლემოდ ამარაგებს.

მათი ინფორმაციით, **„კოდა“ 6 თვეში 45 მილიონ ცალ კვერცხს აწარმოებს და აქედან „ქართული კვების კომპანიისთვის“ 1.5 მილიონი ცალის მიწოდება პრობლემას არ წარმოადგენს.**

უჩუმბეგაშვილი აცხადებს, რომ მისი ინფორმაციით, ჯარში შეტანამდე უკრაინიდან იმპორტირებული კვერცხი თელეთში, კომპანია GMM-ის საწყობში ინახებოდა, რომელიც შპს „ქართული კვების კომპანიის“ ერთ-ერთი კონტრაქტორი კომპანიაა და მის ხილ-ბოსტნეულით მომარაგებას ახდენს.

„კუმისის“ დამფუძნებლის ინფორმაციით, მის კომპანიას თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობა არ მიუღია, რადგან კომპანია სატენდერო პირობებს ვერ აკმაყოფილებს.

ამასთან ერთად, უჩუმბეგაშვილის ინფორმაციით, ტენდერში სამინისტროსთან დაახლოებული პირები და ჩინოვნიკების ნაცნობ-მეგობრები იმარჯვებენ.

„ტენდერი მხოლოდ კვერცხით მომსახურებაზე არ არის. კვერცხით მომარაგებაზე რომ მივიღოთ, გავიმარჯვებთ, მაგრამ კარტოფილი, ხახვი და ბადრიჯანი საიდან მოვიტანო? რაც შეეხება ფასს, უკრაინული კვერცხი იმ ფასად შეისყიდეს, რა ფასადაც ქართულ კომპანიებს აქვთ. როდესაც იგივე ფასად არის, რაც უკრაინაული, არც საბავშვო ბაღმა და არც ჯარმა უკრაინული და თურქული არ უნდა მიიღოს“, — აცხადებს უჩუმბეგაშვილი.

სოფო ქსოვრელი

წკეპლიკა

ნაცებო, რას ყელყელაობთ?

არ გეყოთ აგვისტოს ომში თქვენი „ხელისუფლების „ბრწყინვალე გამარჯვება“ — რუსი გენერლები თავიანთი „უანგიანი“ ტანკებით რომ გააქციეთ? რუსეთთან ომმა ქვეყნის 20 პროცენტი დაგვაკარგვინა, ხომ არ გეცოტავათ? რატომ მაშინ არ აწყობდით აქციებს რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ? პირიქით, „გამარჯვებას“ ზეიმობდით; სწორედ თქვენმა ხელისუფლებამ დაუქვემდებარა რუსეთს ქვეყნის ეკონომიკა, ენერგოსისტემა და მრავალი სხვა.

ძალაუფლებადაკარგულებს, მაგრამ ხალხის ნაძარცვით მდიდრებს, ისღა დაგრჩენიათ, არიოთ ქვეყანა, მოაწყოთ დესტაბილიზაცია, ამას მოგიწოდებთ თქვენი მამა-მარჩენალი, მშიშარა, ჰალსტუხლეჭია, თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე მიწაზე მხოხავი პრეზიდენტი. იყვირეთ, რაც შეიძლება ხმამაღლა იყვირეთ — „მიშა მაგარია!“ სწორედ ასეთი „მაგარი“ პრეზიდენტი და არეული საქართველო აწყობს პუტინს და სააკაშვილს ძალაუფლების დაბრუნების იმედით, სუკის სკოლაში აღზრდილ მის ბიძას, სუკის გენერალს თემურ ალასანიას.

ლონდა მდივანი.

P. S. ივანიშვილსა და ღარიბაშვილს რომ ჰყოლოდათ სუკის გენერლები ბიძა, წარმომიდგენია, რას იყბედებდით.

ლ. მ.

ალიანჩალიანი

მთავრობა დევნილებისთვის ახალ პროექტს იწყებს

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, დევნილი მოსახლეობისთვის ბინების შეძენის მიზნით, მენაშენეთა კონკურსი ცხადდება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურიდან აცნობეს, აღნიშნული გადაწყვეტილება ეკონომიკურმა საბჭომ მიიღო, რომელიც გუშინ პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა.

მენაშენეთა კონკურსი უახლოეს დღეებში გამოცხადდება და მასში მონაწილეობა იმ მენაშენეებს შეეძლებათ, რომლებიც დედაქალაქში საქმიანობენ. პროექტი გრძელვადიანია და რამდენიმე წლის განმავლობაში განხორციელდება. პირველ ეტაპზე საუბარია მშენებარე სახლებში დევნილებისთვის საცხოვრებელი ბინების შესყიდვაზე. მეორე ეტაპი კი გულისხმობს, ამავე მიზნით, წლების წინათ შეჩერებული მშენებლობებისთვის ახალი შესაძლებლობების გაჩენას და მათ გააქტიურებას.

ეკონომიკური საბჭოს წევრებმა დევნილთა და განსახლების მინისტრ სოზარ სუბარისგან მოისმინეს ინფორმაცია პროექტის — „სოფლის სახლი“ მიმდინარეობის შესახებ, რაც დევნილი მოსახლეობისთვის სოფლად სახლის შეძენას ითვალისწინებს. სოზარ სუბარის განმარტებით, უკვე შემოსულია 350 განცხადება, რომელთა დიდი ნაწილი წლის ბოლომდე დაკმაყოფილდება.

ინტერპრესი

ალასანიას პარტიაში შეიძლება ვაშაძე-მელიას გუნდი გადაბარგდეს

რატომ „აუვარდა თავში“ ლადო სადღოგელაშვილს?!

ხელისუფლება ლოიალურია, უუნარო თუ დემოკრატიის დამცველი ნაციონალებთან ბრძოლაში, დღესაც საკამათო თემაა. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ყოფილი პრეზიდენტი თავის გუნდთან ერთად კვლავ ხმაურობს და დამნაშავის შთაბეჭდილებას სულაც არ ტოვებს საზოგადოებაში...

ამის პარალელურად განსაკუთრებით აქტიურები და შეურიგებლები არიან „თავისუფალი თაობის“ წევრები, რომლებიც ნაციონალებისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფისა თუ კვერცხების სროლის გამო არაერთხელ დაუჯარიმებიათ კიდეც. თუმცა, 15 ნოემბერს ორგანიზაცია რატომღაც ასპარეზს გამოეთიშა. რა იყო ამის მიზეზი, „თავისუფალი თაობის“ ლიდერი ლადო სადღობელაშვილი გვესაუბრება.

— ბატონო ლადო, ჯერ თქვენს ორგანიზაციაზე მოგვიყევით...

— დაახლოებით ორი თვეა, რაც არასამთავრობო შევქმენით, მაგრამ აქ გაერთიანებული ახალგაზრდები „ციდან ჩამოფრენილები“ არ ვართ. მეტ-ნაკლებად ყველას გვაქვს პოლიტიკური წარსული. მეც სტუდენტობიდან სხვადასხვა არასამთავრობაში ვიყავი ჩართული, ვიმუშავე რამდენიმე პარტიის პრესსამსახურში, 2011 წელს შევქმენი ორგანიზაცია „მამული, ენა, სარწმუნოება“, რომელიც შემდეგ „წინააღმდეგობის მოძრაობასთან“ გაერთიანდა... სამი წელიწადი ქვეყნიდან წასვლა მომიწია, მაგრამ ჩამოვედი და დამხვდა ვითარება, როცა ნაციონალები ისევ რევანშისტობენ და თურმე სერიოზული ზრახვები აქვთ... არადა, მეგონა, დალაგებულ ქვეყანაში ჩამოვიდოდი.

შევიკრიბეთ ახალგაზრდები და დავაფუძნეთ სტუდენტური გაერთიანება, „თავისუფალი თაობა“. პრინციპში სახელი იძულებით ავირჩიეთ, „თავისუფალი ზონის“ საპირწონედ, ვინაიდან ისინი ხალხს თავს ახვევდნენ ცრუპატრიოტულ, სააკაშვილისეულ იდეებს. ეს ორი თვეა, მათი „ომახიანი“ ხმა არ ისმის, ფაქტობრივად გავანეიტრალეთ, ბოლო მოვუღეთ ამ ორგანიზაციას როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად. დღემდე ვებრძვით ნაციონალურ მოძრაობას და ყველანაირად ვაწუხებთ, კიდევ შევაწუხებთ, სანამ მათაც არ გავანეიტრალებთ.

— ვინ დგას თქვენი ორგანიზაციის უკან და ფინანსურად ვინ გაძლიერებთ?

— არავინ... არათუ უცხოელი, არამედ ქართველი სპონსორიც კი არ გვყავს. ოფისის თანხის ფულს ახალგაზრდები ვაგროვებთ. საკმაოდ ბევრი სტუდენტი გვყავს, თითომ სამი ლარიც რომ დადოს თვეში, ხარჯებისთვის საკმარისია. სახლიდან მაქვს მოტანილი კომპიუტერი, სხვებიც ასე არიან, ჭურჭელიც კი სახლიდან წამოვიღე და ა. შ. მართალია, არავის კვალი ჩვენს უკან არ იკითხება, მაგრამ ამთავითვე მინდა, ხმამაღლა განვაცხადო, რომ ჩვენ ვართ პროევროპული ორგანიზაცია. ჩვენი მიზანია ევროკავშირთან ინტეგრაცია, თუმცა, ნატოსთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებებს ვიზიარებთ. მაგალითად, ბევრი ევროკავშირის წევრი ქვეყანა არ არის ნატოს წევრი. რაც შეეხება რუსეთს, ჩვენი აზრით, რუსეთთან დიალოგი და ურთიერთობის მოწესრიგება სავალდებულო და აუცილებელია, მაგრამ იმასაც ვაღიარებთ, რომ რუსეთი არის აგრესორი, რომელსაც ჩვენი ტერიტორიების ნაწილი ოკუპირებული აქვს.

— ჩვენ შეჩვეულები ვართ იმ აზრს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ, დაიმსახურონ ობიექტურობის ნიშა (თუმცა, რამდენად ახერხებენ ამას, სხვა საკითხია). თქვენ კი პირიქით, იმთავითვე რადიკალურებით გამოირჩევით, რომელიც შეურიგებლად ებრძვის ნაციონალურ მოძრაობას.

— და რატომ გიკვირთ, ქალბატონო?! ან ვინმეს რატომ აღიზიანებს, რომ ჩვენ ნაციონალებს ვებრძვით? ჩემი ქვეყნიდან წასვლის მიზეზი იყო წინა ხელისუფლება, რომელმაც იძულებული გამხადა, საქართველო დამეტოვებინა ჩემი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო. ჩემს ირგვლივ ყველა მეგობარი დაიჭირა, ზოგი ისე დაიჭირეს, ზოგს წამალი ჩაუდეს, იყო მუქარა, შანტაჟი და ძალიან ძლიერი აგრესია „სოდელებისა“ და „კუდელებისგან“. კიდევ უფრო რომ არ გართულებულიყო ვითარება, გავერიდე მათ. ჩვენს ორგანიზაციაში უამრავი ახალგაზრდაა, რომელთა მამებს ქონება ჩამოართვეს, ზოგს დაუჭირეს, ციხეში უწამეს, ანუ მეტ-ნაკლებად ყველას პირადად შეეხო ნაციონალების რეჟიმი და დაიჩაგრნენ. მოდით, პირდაპირ გეტყვით, მე ახალგაზრდობა, სტუდენტური წლები წამართვეს, იმიტომ, რომ ვიყავი ნაციონალების ოპოზიცია და გირგვლიანის მკვლელობიდან მოყოლებული ყოველთვის ვაპროტესტებდი ხელისუფლების ქმედებებს.

— ახლა რამდენის ხართ?

— ოცდაათის ვხდები... პრაქტიკულად ჩვენს ორგანიზაციაში თავმოყრილია ახალგაზრდობაწართმეული თაობა.

— თქვენი განწყობის მიხედვით, 15 ნოემბერს ნაციონალების აქციაზე თავი მოიყარა ადამიანთა ფართო ჯგუფმა...

— ვინ მოვიდა?.. აი, პირადად მოწმე გავხდი ასეთი ვითარებისა... იმ დღეს ჩამოვისეირნე ქაშვეთიდან და ბიბლიოთეკის გასწვრივ შემხვდნენ ადამიანები, რომლებიც პარლამენტის შენობას ეძებდნენ. გამოველაპარაკე — რატომ მიდიხართ-მეთქი აქციაზე და პასუხი ვერ გამცეს. თქვენ ახლა ასეთ ხალხს, ნაციონალების აქტივს თუ უწოდებთ, შეგეკამათებით. ესენი იყვნენ მოსყიდულები, რომლებიც იქ მივიდნენ ფულის გამო. მე ვიცი, რამდენია ნაციონალების თბილისის აქტივი და გეტყვით, რომ 300-ს არ აღემატება. ესაა და ეს. რეგიონებში, როგორც ვიცი, აქციაზე წამომსვლელებს ძლივს მოუყარეს თავი, ზოგი დააშანტაჟეს, ზოგს ფული გადაუხადეს, ზოგს ნათესაურად სთხოვეს... მოკლედ, 8-9 ათასს ვერ გასცდნენ. და ამ ციფრს ვერ ასცდებიან ესენი ვერასოდეს, ხოლო ასეთი ცოტა აქტივით რატომ უნდა იყვნენ ისინი 40 პროცენტით პარლამენტში წარმოდგენილი, ეს კითხვაც ძალიან მაწუხებს. ნაციონალური მოძრაობა დანგრეული ორგანიზაცაა, რომელიც არაფერს წარმოადგენს, მათ არ უსმენენ არსად, არც ქვეყნის შიგნით და არც გარეთ!!! ჩემთვის ისინი აღარ არსებობენ. დღეს რომ რიგგარეშე არჩევნები დაინიშნოს, მათი მაქსიმალური შედეგი 10 პროცენტი იქნება.

— თქვენ, ალბათ, ისიც გესმით, რომ პიარი მაინც პიარია, მნიშვნელობა არა აქვს, იქნება ეს შავი თუ თეთრი. იმით, რომ ნაციონალურ მოძრაობას ფეხდაფეხ დასდევთ, ერთგვარ სიცოცხლეს ხომ არ შესძენთ მათ?

— ვერ დაგეთანხმებით... ჩვენ ამით ხაზს ვუსვამთ იმას, რომ ეს ორგანიზაცია არის დანაშაულებრივი დაჯგუფება, კრიმინალების ბანდა, ისინი დღე-დღეზე უნდა გასამართლებულიყვნენ, მაგრამ, ჯერჯერობით, ვერ გასამართლდნენ.

— ბატონო ლადო, ესენი რევოლუციითაც კი იმუქრებოდნენ და ასე ადვილად ფარ-ხმლის დაყრას როდი აპირებენ...

— რა რევოლუცია, რაზეა საუბარი? ესენი არაფრის გამკეთებლები არ არიან ამ ქვეყანაში, ერთადერთი რასაც ახერხებენ, ეს არის „რუსთავი-2“-ის კონტროლი. რომ ჩამოაცილო „რუსთავი-2“, აღარ იარსებებენ.

— და თქვენ არ გაქვთ პრეტენზია „ოცნებასთან“ იმის გამო, რომ დღეს ნაციონალები მაინც ძალად რჩებიან?

— რა თქმა უნდა, სერიოზული პრეტენზიები გვაქვს ხელისუფლებასთან ამის გამო. ჩვენ გვახსოვს რესპუბლიკელების გამონათქვამები, რომ ნაციონალების არსებობა, ეს ნიშნავს, რომ დემოკრატიაა საქართველოში... ყველამ ვიცით, რომ ნაციონალებს გარკვეული კავშირები ჰქონდათ თუნდაც ალასანიას ჯგუფთან, რესპუბლიკელებთან და, შესაძლოა, ახლაც აქვთ კულუარებში. მაგალითად, ვერ გავიგე მარიკა ვერულაშვილი სად არის და ვის გუნდში: ნაციონალებში თუ ოცნებაში?! მე მესმის, რომ „ოცნებას“ სჭირდება ჰყავდეს ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციაში, რადგან ესენი სანამ არიან, ხალხის კრიტიკა და აგრესია ჯერ ისევ ნაციონალებზე მოდის, მოსახლეობა ამათ რომ უყურებს, იმ ცხრაწლიან ჯოჯოხეთს იხსენებს, რაც გამოიარა. მაგრამ თუკი ესენი წაიშლებიან პოლიტიკური სივრციდან, იმწუთში ხელისუფლებაზე გაძლიერდება კონტროლი და აგრესიაც „ოცნებისკენ“ გადმოინაცვლებს.

ჩემი აზრით, მომავალი საპარლამენტო არჩევნებზე ალასანიას გუნდი დაიჭერს ოპოზიციის ნიშას და ნაციონალებს ჩაანაცვლებს, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ მათ გუნდში ასევე ძალიან ბევრი ყოფილი ნაციონალი აღმოჩნდეს, მათ შორის, ლიდერები და ცნობილი სახეები, ანუ რაღაც ხელოვნური ოპოზიციის შექმნის შანსები უკვე არსებობს.

— და მაინც, უფრო კონკრეტულად, ვინ შეიძლება ვიხილოთ ალასანიას გუნდში?

— ჩემი ინფორმაციით, სერიოზული დაპირისპირებაა ბოკერია-თარგამაძის ფრთასა და ვაშაძე-მელიას ფრთას შორის. ეს უკანასკნელნი უფროსებს იმის გამო საყვედურობენ, რომ ძალიან მარგინალები არიან და სახელს უტეხენ პარტიას, რის გამოც, ფიქრობენ, რომ ბოკერია-თარგამაძე და მისი მხარდამჭერები პარტიას უნდა ჩამოსცილდნენ. როგორც მითხრეს, 15 ნოემბრის აქციის შემდეგ ნაციონალების ოფისში სერიოზული შეხლა-შემოხლა მომხდარა. ჩემი ვარაუდით, ალასანიას შეიძლება ვაშაძე-მელიას გუნდი შეუერთდეს. თანაც, უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ ვაშაძეს უკვე შექმნილი აქვს ორგანიზაცია „ახალგაზრდა რეფორმატორები“, რომელსაც აშკარად ლობირებს და აბსოლუტურად იმორჩილებს. რამე რომ იყოს, ვაშაძეს ჰყავს გუნდი, რომელსაც დაეყრდნობა.

— და რა შანსები აქვთ, თუნდაც დაშლა-გაყოფის თუ გადაჯგუფება-გაერთიანების შემთხვევაში?

— ნაციონალურ მოძრაობას არანაირი შანსი არა აქვს, ხოლო ალასანია-ნაციონალები, სავარაუდოდ, 30 პროცენტამდე აიღებენ, შეიძლება ვცდები... არ ვიცი. მე რაც კარგად ვიცი, ესაა, რომ ასეთი კვოტით, როგორც დღეს პარლამენტში არიან წარმოდგენილი ნაციონალები, არ უნდა იყვნენ, ეს არის აბსურდი.

— ბატონო ლადო, თქვენ ნაციონალების მიმართ ღია გამოხატული დამოკიდებულების გამო, ბუნებრივად აღმოჩნდით ოცნების მხარეს. თუმცა, ზემოთ აღნიშნეთ, რომ პრეტენზიები ახალი ხელისუფლების მისამართით გაქვთ დაგვიანებული „სამართლიანობის“ გამო. ზოგადად, როგორ შეაფასებთ განვლილი ორი წლის პოლიტიკურ ცხოვრებას?

— განვლილი ორი წელიწადი იმის მაჩვენებელია, რომ ხელისუფლება არის დემოკრატიული, არ აკონტროლებს ტელევიზიებს, რაც მგონი, ადვილი შესამჩნევია... თუ დემოკრატია გვინდა, ამის ნიშნები უკვე არის და ეს დადებით მოვლენად უნდა აღვიქვათ და არა უარყოფითად.

„ოცნება“ არ არის სუსტი მთავრობა, როგორც ამას ზოგიერთი აფასებს. პირიქით, ისინი აკონტროლებენ ქვეყანას. თან გამოიარეს ძალიან მძიმე ეტაპი ხელისუფლების გადაბარების: ჯერ დაიქვემდებარეს პარლამენტი, მომდევნო წელს პრეზიდენტი, შემდეგ თვითმმართველობები... ეს ურთულესი პერიოდი იყო და სამუშაოდ ძალიან ტევადი. ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ. ვფიქრობ, რომ წინ გველოდება სტაბილურობა, რაც უფრო გაუმარტივებს ხელისუფლებას ქვეყნის მართვას. ჩემი ვარაუდით, მომდევნო ორი წელიწადი რადიკალურად განსხვავებული იქნება, ბევრად წარმატებული... ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ამ ხელისუფლების გულშემატკივარი ვარ, უბრალოდ, მინდა ასე იყოს... ჩვენ ხომ იმიტომ ავირჩიეთ „ოცნება“, რომ ნაციონალები მოშორებოდნენ ამ ქვეყანას, რაც პრაქტიკულად მიღწეული მაინც არ არის, ამიტომ წესით უკმაყოფილო უნდა ვიყო და ასეც არის...

— ე. ი. ამყარებთ იმ აზრს, რომ ვინაიდან ხელისუფლება, შეიძლება ითქვას, უსუსური გამოდგა ნაციონალებთან ბრძოლაში, თქვენი ორგანიზაცია თავის თავზე იღებს ერთგვარად ამ პასუხისმგებლობას.

— რა თქმა უნდა, ნაციონალებს ვუპირისპირდებით, მაგრამ არა მარტო. ჩვენ გვაქვს პროექტები, გეგმები, ჩვენი მოსაზრება, მაგალითად, კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით, კულტურული სფეროს გამოყენებით, როგორ შეიძლება აღდგეს სახალხო დიპლომატია ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის. ჩვენ ყოველთვის წინ აღვუდგებით „ლგბტ“ ორგანიზაციებს. არა თვითონ მათ უფლებას, არამედ პიროვნებებს, რომლებიც ამ უფლების დაცვის მოთხოვნის საფარქვეშ, ნაციონალების იდეებს ახმიანებენ და პოლიტიკურ შეხედულებებს ლობირებენ...

— 15 ნოემბერს, მეგონა, რომ კონტრაქციას დაგეგმავდით...

— ჩვენს ოფისში ამ დღეს მართლაც უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი, რომლებიც ითხოვდნენ კონტრაქციის გამართვას, მაგრამ მაქსიმალურად შევიკავეთ თავი. 15 ნოემბრის აქცია, ეს იყო მოტყუების აქცია, რევანშისტული ელემენტებით, რაც შედეგს ვერასოდეს მოუტანს ნაციონალურ მოძრაობას.

— და როგორია თქვენი სამოქმედო გეგმა, რომ დააანონსოთ, შეიძლება?

— ჩვენ შევეცდებით, თანდათანობით ნაციონალების მარგინალიზაცია მოვახდინოთ და გავაუქმოთ. რაც შეეხება ბრძოლის ფორმებს, 23 ნოემბერს, „ვარდების რევოლუციის“ თარიღთან დაკავშირებით, მივალთ ნაციონალების ოფისთან, აქციას მოვაწყობთ და საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენებთ ყველა იმ სისასტიკეს, რაც ამ რეჟიმმა განახორციელა. იმედია, შემოგვიერთდება ყველა ის ადამიანი, ვინც ამ იდეას იზიარებს... და შემიძლია, ერთი იდეაც გაგიმხილოთ. არ ვიცი, რატომ, შეიძლება ამას ერთგვარი „თავში ავარდნაც“ ვუწოდოთ, ორთვიანმა მუშაობამ, დაგვანახა, რომ ორგანიზაცია შეიძლება პარტიად გარდაიქმნას... ამაზეც ვფიქრობთ. ჯერჯერობით, ნოემბრის ბოლოს ჩავდივართ აჭარაში, სადაც „თავისუფალი თაობის“ ფილიალს გავხსნით. და ადგილობრივ ნაციონალებს დავუპირისპირდებით.

— გისურვებთ წარმატებებს...

ესაუბრა
თეა მოსია

საბანი როგორც გაგწვდესო...

გაისად სექტემბრიდან პენსია კიდევ 10 ლარით გაიზრდება!

ჭაში ჩავარდნილი ვერსად გაიქცევა!

სიმართლე გითხრათ, ამჯერად პენსიის თაობაზე საუბარს სულაც არ ვაპირებდი (წინა წერილებში უკვე არაერთგზის ვისაუბრე), მაგრამ ბოლო პერიოდში პენსიის ზრდის გამო ცალკეულ ხელისუფალთა მიერ გამოთქმულმა ორჭოფულმა მოსაზრებებმა მიბიძგა, ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩემი, როგორც რიგითი მოქალაქისა და ჟურნალისტის პოზიცია, კიდევ ერთხელ გამომეხატა.

ორჭოფულმა მოსაზრებებმა-მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ თავად მთავრობის კაცებმა, კერძოდ კი ქვეყნის პირველმა ფინანსისტმა, ბატონმა ნოდარ ხადურმა თავისი განცხადებებით, მეცა და სხვასაც მოგვცა ამის საბაბი. თავდაპირველად მინისტრი, როგორც ჩანს, არ აპირებდა ხალხის მოტყუებას და აცხადებდა, რომ მომავალ წელს პენსია არ გაიზრდებოდა. ხადურის ამ განცხადებამ, რა თქმა უნდა, უარყოფითად იმოქმედა ხელისუფლების რეიტინგზე, რომელიც ბოლო ხანებში ისედაც საგრძნობლად შემცირდა. ეტყობა, ამის გამო ხადურის ზემდგომები შეშფოთდნენ და პენსიის გაზრდა გადაწყვიტეს. ეს სასიხარულო ცნობა ხალხს პირველმა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ონოფრიშვილმა აუწყა. ხადურიც რაღას იზამდა, საკუთარ „პრინციპს“ გადაუხვია და პენსიების 5-10 ლარით გაზრდის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია დაადასტურა. თან ისიც მიაყოლა, ეს დაზუსტებული ციფრი არ გახლავთ და ზუსტ მაჩვენებელს ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტში დავაკონკრეტებთო. გვეგონა, უკვე „დააკონკრეტა“, როცა განაცხადა: 2015 წლის სექტემბრიდან მაქსიმუმ 25 ლარით პენსიები გაეზრდებათ მხოლოდ სოციალურად დაუცველ პენსიონერებს, ზრდა 2016 წელსაც გაგრძელდება და ის ყველა კატეგორიის პენსიონერს შეეხებაო. ახლახან ხადურმა „ერთხელ კიდევ დააკონკრეტა“ მაცდუნებელი ციფრი და გვახარა, რომ მომავალი წლის სექტემბრიდან პენსია 10 ლარით გაეზრდება ყველა კატეგორიის პენსიონერს.

მადლობა უფალს, დაბნეული მინისტრის გადამკიდებებმა, ძლივს არ ამოვისუნთქეთ?! თუმცა, გვაქვს კი გარანტია, რომ ეს ციფრიც არ შეიცვლება? ავი ენები ამბობენ, რომ პენსიის ზრდის საკითხი ბიუჯეტის გადამუშავებული პროექტის ვარიანტშიც არ არის ასახული. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის დავით ონოფრიშვილის ინფორმაციით, ეს საკითხი, სავარუდოდ, საბიუჯეტო პროექტის მესამე ვარიანტში აისახება, რომელიც პარლამენტს დეკემბერში წარედგინება. აბა როგორ, ხუმრობა საქმე ხომ არ გგონიათ, პენსიის სულ მცირე, რაღაც 10 ლარით გაზრდისთვისაც კი, დეპუტატის თქმით, სახელმწიფოს თურმე კაი 15-16 მილიონი ლარის გაღება დასჭირდება(!).

ეტყობა, ამიტომაც უძნელდება (ზოგის აზრით, ესიკვდილება) ფინანსთა მინისტრს მწირ ფინანსებზე საუბარი. თუმცა, მას შემდეგ, რაც საპარლამენტო უმცირესობასთან შეხვედრისას, ხადურს ნაცებმა ქოქოლა აყარეს, არ უნდა გვიკვირდეს, რომ ეს უკანასკნელი საბიუჯეტო სახსრებს ხელის კანკალით ითვლიდეს. თქვენი არ ვიცი და მე კარგად მახსოვს, იმ შეხვედრაზე, როცა მინისტრმა განაცხადა, საჯარო სამსახურის მუშაკთა ანაზღაურება, წინა წელთან შედარებით, 54 მილიონი ლარით გაიზრდებაო, ნაცუმცირესობის „ყოჩებმა“ ხადური როგორ კუპრში ჩაგდებული პლასტმასის ბოთლივით აბურთავეს. მათ შორის სიანჩხლით უფრო მეტად ხათუნა გოგორიშვილი გამოირჩეოდა.

— თქვი, თქვი, შე ქვეყნის მატყუარავ, — უტევდა მთავრობის პირველ ფინანსისტს ნაცქალბატონი, **— რისთვის ინახავ მაგ 54 მილიონს, გინდა ისევ მინისტრების პრემიებსა და სახელფასო დანამატებს მოახმარო, არა?** ღმერთო ჩემო, რას მოვესწარით, ნაცები მთელი 9 წლის მანძილზე ხალხის დაყაჩაღება-გატყავებით რომ იყვნენ დაკავებულნი, ახლა „ოცნების“ გულის გასახეთქად, ვითომ იმავე ხალხის მხარდასაჭერად აილესეს კბილები. არაო, თავს იმართლებდა მინისტრი, თქვენც კარგად უწყით, შარშან და წლეულს მინისტრებს ფაქტობრივად ხელფასები შეუმცირდათო, მაგრამ ვინ დაიჯერა. იმ შეხვედრაზე ნაცუმცირესობის დეპუტატებმა ხადურს სულ მატყუარა და აფერისტი უძახეს.

ამ მთავრობის უმაქნისობასა და ნაცების უნამუსობას რა ვუთხარი, თორემ იმ დამაქცევარი საქმეების შემდეგ, რასაც ცრუპენტელა და ნაძირალა მიშნაცები სჩადიოდნენ, „ოცნებას“ ტყუილსა და აფერისტობაში როგორ უნდა ადანაშაულებდნენ. ისე, კაცმა რომ თქვას, არც ესენი (ახლები) გამოდგნენ მამა აბრამის ბატკნები, მათი ხელისუფლებაში მოსვლიდან უკვე ორი წელი გავიდა და საკუთარ კეთილდღეობაზე, ხელფასებისა და პრემიების ზრდაზე ზრუნვა ერთი დღითაც არ შეუნელებიათ. აი, პენსიების გაზრდა კი რატომღაც ძალიან გაუჭირდათ!

რა თქმა უნდა, **ხალხი ბრმა არ არის, ის მშვენივრად ხედავს, რომ არსებული ბიუჯეტი პენსიების ასპროცენტიანი ზრდის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ არ მოსწონს მთავრობის ღორმუცელობა, როცა ეს უკანასკნელი ამ გაჭირვებული ხაზინიდან საკუთარი კეთილდღეობისთვის ბევრს იმეტებს, პესნიონერებისთვის კი მხოლოდ რაღაც გროშებს.** არადა, „ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლამდე ხალხს უამრავ სიკეთეს ჰპირდებოდა, მათ შორის, პენსიების რეალური საარსებო მინიმუმის ფარგლებში გაზრდას. მართალია, პირადად ბიძინა ივანიშვილი კონკრეტული ციფრის დასახელებას ერიდებოდა, მაგრამ სხვა ლიდერები (მაგალითად, ირაკლი ალასანია) ხმამაღლა აცხადებდნენ, **მთავრობაში რომ მოვალთ, პენსიას სააარსებო მინიმუმს გავუთანაბრებთ, ასეთი მინიმუმი კი ჩვენი გაანგარიშებით, 230-250 ლრის ფარგლებში უნდა მოიაზრებოდესო.** უკვე 2 წელზე მეტია, მოვიდნენ, მაგრამ დანაპირების შესრულება რატომღაც დაავიწყდათ და დღესაც საარსებო მინიმუმის ოფიციალური მაჩვენებელი იმ ნორმებს ეფუძნება, რომელიც საკუთარ სიმდიდრეს დახარბებულმა ნაცბანდამ ამ ათიოდე წლის წინათ საერთაშორისო ნორმებისგან სრულიად განსხვავებულად შეიმუშავა.

ნაცბანდამ კი დაგვიტოვა „რელიკვიად“ სათავისო საარსებო მინიმუმი, მაგრამ ფაქტია, დღევანდელი რეალობა სულ სხვა სურათს იძლევა. საქმე ის გახლავთ, რომ **„საქსტატი“, რომელიც დღემდე „პრეისტორიული“ მეთოდოლოგიით მუშაობს, საარსებო მინიმუმს კვლავაც 40 დასახელების პროდუქტთა ჯგუფის მიხედვით ითვლის, მაშინ, როდესაც სასურსათო კალათა რეალურად 70 დასახელების პროდუქტს მოიცავს. როგორც ჩანს, „საქსტატთან“ ერთად, ხელისუფლებაც ანგარიშს არ უწევს იმას, რომ შეიცვალა სასურსათო და არასასურსათო კალათებს შორის პროპორციები, რომელთა შეფარდება ადრე არსებული 70-30-ის ნაცვლად, უკვე 55-45-ზეა.** ამით სპეციალისტები ხელისუფლებას შეახსენებენ, რომ ადამიანებს, ცხოველებისგან განსხვავებით, კვების გარდა, სხვა მოთხოვნილებებიც გააჩნიათ.

როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი არ იციან დღევანდელ ხელისუფლებაში? რა თქმა უნდა, იციან, თანაც ახლა კი არ მიხვდნენ, როგორც უკვე ვთქვი, ხელისუფლებაში მოსვლამდეც მშვენივრად იცოდნენ, მაგრამ რეალური საარსებო მინიმუმის გამოთვლა დღემდე „ვერ მოახერხეს“. რატომ? ვითომ საარსებო მინიმუმის გამოთვლას იმდენი თანხები სჭირდება, რომ ხაზინაში ვერ მოიძიეს? არა, ბატონებო, საქმე სხვა რამეშია. სინამდვილეში ფინანსები დათვლას კი არა, აი იმას დასჭირდება, დათვლის შემდეგ მთავრობას შედარებით მაღალი საარსებო მინიმუმის დარად, პენსიების გაზრდა რომ მოუწევს.

სწორედ პასუხისმგებლობის ამ ყულფში თავის გაყოფა არ სურს ქვეყნის პირველ ფინანსისტს, ბატონ ნოდარ ხადურს და ამიტომ ედება ღობე-ყორეს, ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ კოალიციურმა მთავრობამ დაპირება პირნათლად შეასრულა ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში, როცა საარსებო მინიმუმი თურმე 144,7 ლარი იყო, პენსია კი 150 ლარი გახდა. ჩვენ ვერა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ აზრის „ჭეშმარიტებაში“ ხადურმა უკვე პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილიც დაარწმუნა, რომელმაც ამას წინათ ტელეეთერით განაცხადა, რომ „ოცნების“ დანაპირები თანხა განაღდებულია, არსებული პენსია, რომელიც მომავალი წლის სექტემბრიდან კიდევ 10 ლარით გაიზრდება, უკვე აჭარბებს საარსებო მინიმუმით დადგენილ მაჩვენებელს.

კეთილი, მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკონომიკური კვლევის ცენტრის“ მონაცემებით რომ სულ სხვა რეალობა იკვეთება? ამ უკანასკნელის კვლევის შედეგების მიხედვით სადღეისოდ რეალური საარსებო მინიმუმი საქართველოში უკვე 315 ლარის ტოლფარდია(!). იქნებ გვითხრას ვინმემ, რომელს უნდა დავუჯეროთ ამ შემთხვევაში, მთავრობას, რომელიც პენსიაზე 10 ლარის მომატებით, საკუთარი რეიტინგის გაზრდას ცდილობს, თუ რეალურ ცხოვრებას, რომელიც ყოველდღიურად გვიძვირდება? მთავრობამ ხომ უნდა იფიქროს, **პენსიონერს რისი შეძენა შეუძლია ამ მომატებული „რეიტინგული“ 10 ლარით — 700 გრამი ხორცის, 1 კილოგრამი მდარე ხარისხის ყველის თუ 5 კილოგრამი ვაშლის?**

კიდევ ჩამოვთვალო? დანარჩენის ჩამოთვლა ბატონი ხადურისთვის მიმინდვია, რომელსაც მსხვილ-მსხვილი ჩინოვნიკებისათვის პრემია-წანამატების მიცემა უფრო ეხერხება, ვიდრე რეალური პენსიების მატება. და კიდევ, პარლამენტარ ზურაბ ტყემალაძისთვის, რომელმაც არ დაიზარა ტელეეთერით იხტიბარწამხდარი პენსიონერებისთვის განემრატა, რომ პენსიაზე მომატებული 10 ლარი, ეს არ არის უბრალო 10 ლარი, ეს არის 150+10 ლარი და უდრის 160 ლარს. თუმცა, დეპუტატს ანგარიში აღარ გაუგრძელებია და არ უთქვამს, დღევანდელი 150 ლარი თავისი მსყიდველუნარიანობით ხომ არ აჯობებს მომავალი წლის სექტემბრისთვის დაანონსებულ 160 ლარს, რომლითაც ხელისუფლება ასერიგად ამაყობს?!

იანგარიშეთ, ბატონო ხელისუფალნო, ჯერ იანგარიშეთ და თავი მერე მოიწონეთ. წყნარად და მშვიდად იანგარიშეთ, რა გაჩქარებთ, ხანდაზმულ პენსიონერთაგან ხომ, ამასობაში თუ ზოგმა წყალგაღმა არ გაცურა, გამქცევი არავინ არის. საერთოდაც, ჭაში ჩავარდნილის გაქცევა ვის უნახავს.

ოთარ ხუციშვილი

◎ გვწერენ

მაშინ ჩვენი ბუნდღაც აღარ იქნება!

საპენსიო ასაკის კაცი ვარ და არჩევნებში მხარი ბიძინა ივანიშვილის „ოცნებას“ დავუჭირე. ვენდობოდი, როცა აცხადებდნენ — 2-3 წელიწადში ქვეყანას დავალაგებთო. თუმცა, დღეს მთავრობა პენსიების მომატებას მომავალი წლის სექტემბრიდან გვპირდება, ისიც 10 ლარით მომატებას. ეტყობა, დაავიწყდათ წინასაარჩევნოდ 230-250-ლარიან პენსიას რომ გვპირდებოდნენ. იმასაც აღნიშნავენ 65 წელს მიღწეული პენსიონერები ქვეყანაში უკვე ერთი მესამედია და გვიჭირს მათი დაპურებაო. რა ვქნათ, გამოვკაჟდით, საზოგადოებრივი წყობილების შეცვლამ, დამოუკიდებლობამ, აფხაზეთისა და ოსეთის დაკარგვამ, ენერგოკრიზისმა, ყველაფერმა ამან ჩვენ თავზე გადაიარა და ცოტა პატივისცემით მაინც მოიხსენიეთ ასეთი ადამიანები.

დღეს ბევრს საუბრობენ აფხაზეთისა და ოსეთის დაბრუნებაზე, მაგრამ იმას აღარ იაზრებენ, რომ იქ პენსია ჩვენზე გაცილებით მეტია. ყველაზე დიდი ინტერესი ადამიანებში ეკონომიკური კეთილდღეობაა. გუშინ ამას 2-3 წელიწადში გვპირდებოდით, დღეს 20-30 წელიწადს ასახელებთ. გილოცავთ პენსიონერებო, როგორც ეტყობა, ასი წლისთავზე მოგვიმატებენ პენსიას, როდესაც ჩვენი ბუნდღაც აღარ იქნება.

ვალიკო დოლიძე,
ღირსების ორდენოსანი, პენსიონერი

◎ ალიანჩალიანი

იანვარ-მარტში მოსახლეობა 20-ლარიან კომუნალურ ვაუჩერს მიიღებს

მომავალი წლის პირველ სამ თვეში კომუნალური ვაუჩერის ოდენობა ოჯახზე თვეში 20 ლარი იქნება, ხოლო სოციალურად დაუცველები თვეში 500 ლარს მიიღებენ, — ამის შესახებ გუშინ თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ჯაბა სამუშიამ ჟურნალისტებს განუცხადა. მისივე თქმით, მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში მოსახლეობა ასევე 20-20 ლარიან ვაუჩერს მიიღებს.

ჯაბა სამუშიამ კომენტარი გააკეთა თბილისის საკრებულოში თბილისის მერის წარმომადგენლების შეხვედრასთან დაკავშირებით, რომელიც 2015 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით იმართება.

ჯაბა სამუშიამ მოსახლეობას მიმართა და აღნიშნა, რომ, რასაც ნაციონალური მოძრაობის მხრიდან კომუნალურ ვაუჩერთან დაკავშირებით ისმენენ, თითქოს პრობლემაა, სიმართლეს არ შეესაბამება და აბსოლუტური ტყუილია.

„ეს იყო სამუშაო პროცესი. უმრავლესობა მერიასთან ერთად მუშაობდა ახალ მოდელზე, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ვაუჩერის გაცემა. დღეს შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ სოციალურად დაუცველ ოჯახებზე ვაუჩერი გაორმაგებული ოდენობით გაიცემა მომავალ წელს, კერძოდ, 500 ლარის ოდენობით, ხოლო დანარჩენ მოსახლეობაზე გაიცემა იმ წესით, რაც დღემდე არსებობს. ეს იქნება წლის დასაწყისამდე, სანამ სამუშაო ჯგუფი ახალ ფორმულას არ დადებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ვაუჩერის გაცემა. მომავალი წლის იანვარში, თებერვალსა და მარტში მოსახლეობა იგივე წესით მიიღებს ვაუჩერს, რაც აქამდე იყო, კერძოდ, ოჯახზე თვეში 20 ლარი გაიცემა. ამჟამად ვმუშაობთ ახალ წესზე და შემდგომში ახალი წესით გაიცემა ვაუჩერი. მიგვაჩნია, რომ მსგავსი სოციალური პროექტების მონაწილე უნდა იყოს ის ოჯახები, რომელთა შემოსავალიც არის დაბალი, ის ოჯახები, რომელთაც რეალურად სჭირდებათ ასეთი ვაუჩერი. აქედან გამომდინარე, ჩვენ სწორედ ამ წესზე ვმუშაობთ.

ინტერპრესი

◎ სამართალმა პური უნდა ჭამოს

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე უკანონოდ ქონება-ჩამორთმეულის სახლში ცხოვრობს!

„საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი აჭარაში, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, უკანონოდ ქონებაჩამორთმეულის სახლში ცხოვრობს“, — ასეთია ევროპარლამენტის პრეზიდენტის სახელით გამოგზავნილი წერილის შინაარსი.

ევროპარლამენტარები აღიარებენ, რომ მათთვის ცნობილია იმ უამრავი საჩივრის შესახებ, რომელიც არსებობს საქართველოში უკანონოდ საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით. წერილში ნათქვამია, რომ ევროპარლამენტი ყურადღებით აკვირდება საქართველოში საკუთრების უფლების სადავო საკითხებთან დაკავშირებულ პროცესს და გამოხატულია ინტერესი, თუ როგორ უზრუნველყოფს სახელმწიფო როლანდ ბლადაძის (ვის სახლშიც გიორგი პაპუაშვილი ცხოვრობს) საქმესთან დაკავშირებით „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წინადადებების გათვალისწინებას.

„რესტიტუცია (პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა) შესაძლებელია, ეს უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ“, — მიიჩნევენ ევროპარლამენტარები. ანგარიშში მითითებულია, რომ მთლიანი კომპენსაციის მიღება რთულ საკითხად რჩება, თუმცა, საქართველოს ხელისუფლებამ მსგავსი შემთხვევების გამკლავების მიზნით, სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, უნდა შეიმუშაოს რეალური მექანიზმი. აგრეთვე, შესაძლებელია, საკითხთან დაკავშირებით, არსებული კანონმდებლობა გადაიხედოს.

რაც შეეხება როლანდ ბლადაძის სადავო სახლს, იგი ბათუმში, გორგილაძის 37 ნომერში მდებარეობს. აღნიშნული საცხოვრებელი გიორგი პაპუაშვილს 2006 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით, სიმბოლურ ფასად, 1 000 ლარად გადაეცა.

მანამდე კი, აჭარის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, 2004 წელს ნაციონალებმა საქმე აღძრეს როლანდ ბლადაძის წინააღმდეგ, რომელიც სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსის მოადგილედ მუშაობდა. ბლადაძეს ბრალი სახელმწიფო ქონების მითვისებაგაფლანგვაში ედებოდა, რის გამოც კუთვნილი ქონება ჩამოართვეს. მათ შორის, კონფისკაციას დაექვემდებარა აღნიშნული ბინაც, სადაც გამოსახლებიდან 8 თვის შემდეგ, რემონტი დაიწყო და პრეზიდენტმა იგი პაპუაშვილს გადასცა. დღეს ეს ბინა სწორედ გიორგი პაპუაშვილის საკუთრებაში ირიცხება.

ბლადაძეების ოჯახის ადვოკატმა ნანა წულაძემ ევროპარლამენტიდან გამოგზავნილი წერილის შესახებ For.ge-სგან შეიტყო. მანვე განმარტა, რომ, თუ წერილში მართლაც როლანდ ბლადაძისთვის ქონების ფაქტია ნახსენები, მაშინ ეს წერილი ამ ქონების დაბრუნების საწინდარი უნდა გახდეს. თუმცა, საქმე ამჟამად უზენაეს სასამართლოშია და, თუ ეს ზემდგომი სასამართლოც არ დაუბრუნებს ქონებას ბლადაძეებს, მაშინ საქმე სტრასბურგამდე გაგრძელდება.

— როლანდ ბლადაძის წინააღმდეგ დევნა რატომ დაიწყო? მისი სახელი ნაციონალებმა ასლან აბაშიძეს ხომ არ დაუკავშირეს?

— მოგეხსენებათ, როლანდ ბლადაძე სარფის საბაჟოზე მუშაობდა. მაშინ ყველა, ვინც კი აჭარაში რაიმე თანამდებობაზე მოღვაწეობდა, ასლან აბაშიძესთან დაახლოებულ პირად მოიაზრებოდა. სინამდვილეში, ბლადაძეს არანაირი შემხებლობა ასლან აბაშიძესთან არ ჰქონია. იმ დროს ადამიანს სისხლის სამართლის საქმეებს აღუძრავდნენ და შემდეგ უკვე ადმინისტრაციული წესით შეჰქონდათ სარჩელები ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის ეს პროცედურები გადაჯაჭვული იყო ადმინისტრაციულ სამართალთან. ამას ერქვა დაუსაბუთებელი და უკანონოდ შეძენილი ქონების ჩამორთმევა. ქონება, რომელიც ჩამოერთვა როლანდ ბლადაძეს, 1998 წელს იყო შეძენილი და სარფის საბაჟოზე მაღალ თანამდებობაზე მუშაობასთან არანაირი კავშირი არ ჰქონია, რადგან თანამდებობაზე იგი მოგვიანებით დაინიშნა.

— რატომ გადაუფორმა ქონება, ეს ადამიანი დაიჭირეს?

— არა, მას დაუსწრებლად წარედგინა ბრალი და, ასევე, დაუსწრებლად ჩამოერთვა ქონება ისე რომ, სასამართლოზე არც წარმომადგენელი ჰყოლია და არც ოჯახმა იცოდა ამის შესახებ. სისხლის სამართლის საქმე აღიძრა სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მოტივით. ეს იყო შეთითხნილი ბრალდება, რაც 2013 წლის აპრილის დადგენილებით დადასტურდა, სადაც პირდაპირ ჩაიწერა, რომ აღნიშნულ საქმეში ბლადაძეს არანაირი კავშირი არ ჰქონია და შეწყდა საქმის წარმოება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

გიორგი პაპუაშვილის მხარე თავს იმართლებს, რომ ეს ქონება პრეზიდენტის ბრძანებულებით სიმბოლურ ფასად გადაეცა და აქ არანაირ ძალმომრეობას ადგილი არ ჰქონია, რადგან ეს იყო სახელმწიფო ბალანსზე არსებული ქონება. საკონსტიტუციო სასამართლოს პრეს-სპიკერ ზვიად სირაბიძის თქმით, სახელმწიფო ვალდებული იყო, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები საცხოვრებელი ფართებით უზრუნველეყო. შესაბამისად, გიორგი პაპუაშვილიც ამ ბინით დაკმაყოფილდა.

— მართალია, ისინი თავს იმართლებენ, რომ პაპუაშვილს პრეზიდენტის განკარგულებით პირდაპირი მიყიდვის წესით მიეცა ქონება, მაგრამ საქმე ისაა, რომ ბატონმა პაპუაშვილმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ქონება ჩამორთმეული იყო. ისიც კარგად უწყოდა, რომ ეს იყო უკანონოდ ჩამორთმეული ქონება და მანამ, სანამ ეს ქონება გადაეცემოდა პაპუაშვილს, პრეზიდენტიდან დაწყებული, ეკონომიკის სამინისტრომდე, აბსოლუტურად ყველას მივმართეთ და ვწერდით, რომ ეს იყო უკანონოდ ჩამორთმეული ქონება და მისი შემძენი ვერასოდეს კეთილსინდისიერი ვერ გახდებოდა. უფრო მეტიც, სანამ ბინა გადაეცემოდათ, ისინი ნახულობდნენ ამ ბინებს. ისინი ჩავიდნენ ბათუმში ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ბინები გადაცემული არ ჰქონდათ. ეს მარტო პაპუაშვილს არ ეხება, საკონსტიტუციოს სხვა წევრებსაც ეხებათ. ასევე, ცნობილია, რომ პაპუაშვილი თავად ნახულობდა და ირჩევდა ბინას, თუ რომელში უნდა შესულიყო.

— რამდენიმე თვის წინათ როლანდ ბლადაძის მეუღლემ მარინა ესელიძემ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ამჟამინდელ ბინასთან აქცია გამართა, სახელწოდებით — „წადი ჩემი სახლიდან“. რა გამოხმაურება მოჰყვა ამ აქციას გიორგი პაპუაშვილის მხრიდან?

— პაპუაშვილის მხრიდან გამოხმაურება არ ყოფილა. ჩვენ ახლა უზენაეს სასამართლოში გვაქვს გასაჩივრებული ყველა ის აქტი, რის საფუძველზეც გადაეცა პაპუაშვილს ბინა. მის ბათილად ცნობას ვეცდებით. პროკურატურაში სარჩელი არ შეგვიტანია, რადგან ეს არის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი გზით მივმართავთ უზენაეს სასამართლოს.

— ევროპარლამენტის ბოლოდროინდელი გზავნილი რას შეცვლის ამ საქმეში?

— უზენაეს სასამართლოს შეუძლია, ეს რეკომენდაცია გამოიყენოს და დაადგინოს, რომ რაც ჩამოერთვა ბლადაძეს, სრულიად უკანონოდ აქვს პაპუაშვილს მითვისებული. ამან, წესით, უნდა შეცვალოს ჩვენი საქმე.

— მართალია, რომ თქვენი დაცვის ქვეშ მყოფი ამჟამად რუსეთში ლტოლვილის სტატუსით სამ შვილთან ერთად ცხოვრობს?

— ლტოლვილის სტატუსით არ ცხოვრობს რუსეთში, მაგრამ, ფაქტობრივად, საქართველოდან დევნილია, რადგან მას აქ ჩამოსასვლელი და საცხოვრებელი არა აქვს.

— მასზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ბათუმში მდებარე ამ ბინის ხელში ჩაგდებით იყო განპირობებული?

— ეს ბინა საკმაოდ ძვირადღირებულია, დაახლოებით 200 ათას დოლარამდეა. კიდევ აქვს დამატებული სართულნახევარი. სხვათა შორის, მაშინ როლანდ ბლადაძე მარტო არ ყოფილა. მასთან ერთად უამრავი ადამიანი იყო, ვისაც ამ წესით ართმევდნენ ქონებებს. სხვანაირად, ეს ქონებები ვერ მიჰქონდა იმდროინდელ ხელისუფლებას. ვინ ვინ და, თვითონ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი უნდა იცავდეს ადამიანთა კონსტიტუციურ უფლებებს. გამოდის, რომ დღეს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი თავად არღვევს სხვის კონსტიტუციურად აღიარებულ უფლებებს.

მანანა ნოზაძე

დედამიწის ზურგზე

შეერთებულმა შტატებმა რუსული „თანამგზავრების გამანადგურებლისთვის“ თვალყურის დევნება დაიწყო

გაზეთმა „ფაინენშლ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა ცნობა, რომ რომელიღაც „უცნობი რუსული კოსმოსური ობიექტი“ აისახება სპეციალიზებულ საიტზე, რომელზეც შეგროვილია ინფორმაცია ყველა თანამგზავრზე, აპარატსა და რაკეტების ნამსხვრევებზე ორბიტაზე. იგი კოსმოსში გაუშვეს მაისში რაკეტმზიდის „როკოტის“ დახმარებით პლესეცკის კოსმოდრომიდან სამ სამხედრო თანამგზავრთან ერთად.

ევროკავშირმა სერბეთი აიძულა, სანქციები შემოიღოს რუსეთის წინააღმდეგ

„სერბეთმა იკისრა იურიდიული ვალდებულებები მოლაპარაკებათა ფარგლებში იმასთან დაკავშირებით, რომ თანდათანობით შეათანხმოს თავისი პოზიცია ევროკავშირთან ისეთ რთულ საკითხებზე, როგორიცაა სანქციები რუსეთთან დაკავშირებით. ეს მეტად მნიშვნელოვანია და ბელგრადისგან ველოდებით, დაიცვას ეს ვალდებულებანი“, — განაცხადა ევროკომისარმა ევროპულ პოლიტიკაში იოჰანეს ჰანსმა.

ეგვიპტის პროკურატურამ ქვეყნის ექს-პრეზიდენტის მუჰამედ მურსის სიკვდილით დასჯა მოითხოვა

ქვეყნის ყოფილ ლიდერს ბრალს სდებენ შპიონაჟში უცხოეთის ქვეყნების — ირანისა და ყატარის სასარგებლოდ. ბრალდება ამტკიცებს, რომ მურსი და მისი მომხრეები უცხოეთის დაზვერვის სამსახურებს გადასცემდნენ საიდუმლო დოკუმენტებს, აგრეთვე თანამშრომლობდნენ პალესტინელ ექსტრემისტებთან.

ნატოს გენერალურმა მდივანმა რუსეთს რჩევა მისცა იზოლაციასა და მშვიდობიან შეთანხმებას შორის

იენს სტოლტენბერგმა მოუწოდა რუსეთს, მონახოს გამოსავალი უკრაინის კრიზისიდან და გახდეს „მშვიდობიანი შეთანხმების“ მონაწილე, რითაც თავს დააღწევს იზოლაციას. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ნატოში კვლავინდებურად ხედავენ „ომის ესკალაციას“ და „მოწყობილობის გადატანას რუსეთიდან“.

◎ განსჯა

„საყდრის-ყაჩაღიანის საბადოს პრობლემის მოუგვარებლობას, შესაძლოა, სოციალური აფეთქება მოჰყვეს“

„ძნელი სათქმელია, ხდებოდა თუ არა 5000 წლის წინ საყდრის-ყაჩაღიანზე ოქროს მოპოვება, თუმცა, რამდენადაც მე ვიცი, ნეოლითის ხანაში, ადამიანი არ ხმარობდა ოქროს სამკაულს, იარაღებისთვის კი ოქრო არ ვარგა. ოქრო ის იშვიათი ლითონია, რომლის ქიმიური გახსნითა და რეაქციით, პროდუქტის მიღება შეუძლებელია. ის მხოლოდ ციანიდებში იხსნება და ასევე „მეფის არაყში“ (ორი მჟავის ნარევი). მაშინ არც ციანიდები იცოდნენ, მით უმეტეს არც ეს მჟავები და მათი ერთმანეთთან შეერთების წესი. ოქრო ასევე იხსნება ვერცხლისწყალში. ალბათ გინახავთ ტაძრების მოოქროვილი სახურავები, რაც განსაკუთრებით რუსეთში გვხდება. ვერცხლისწყალში ხსნიან ოქროს, შემდეგ ამ ხსნარით სპილენძის თუნუქს ფარავენ. შემდეგ ვერცხლისწყალი ორთქლდება და რჩება ოქრო. და შეიძლება ვინმემ ისიც ამტკიცოს, რომ ათასწლეულების წინათ ეს პროცესიც ხორციელდებოდა?“ — აცხადებს გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საინჟინრო და საბუნებისმეტყველო აკადემიების წევრი **დავით არევაძე.**

— ბატონო დავით, საზოგადოების პოზიცია ორ ნაწილად იყოფა, ერთნი ამბობენ, რომ იქ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და მეორე მხარე აცხადებს, რომ კომპანიამ მუშაობა არ უნდა შეაჩეროს. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?

— არ უარვყოფ, რომ რომ იქ არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, მაგრამ, უნდა გაჩერდეს თუ არა ამის გამო კომპანია? როგორც ვიცი, საქმე ის არის რომ, სრულად ამოიწურა სპილენძისა და ოქროს მადნეულის საბადო. თუ არ ვცდები, იქ 3000-მდე ადამიანი მუშაობს. საწარმო, რომელსაც ამდენი ადამიანი ჰყავს დასაქმებული, რომ გაჩერდეს, იქ შეიძლება სოციალური აფეთქებაც კი მოხდეს.

საუბარი იმის თაობაზე, რომ UNESCO-ს რეკომენდაციის საფუძველზე შეიძლება შეჩერდეს სამუშაოები მთლიანად საბადოზე, არარეალურია. შესაძლოა, ითქვას, რომ სამუშაოები დროებით უნდა შეჩერდეს ლოკალურ უბანზე, მაგრამ როგორ შეიძლება სამუშოები საერთოდ გაჩერდეს?! ეს ხომ ხალხის დასაქმეებაა და არავისთვისაა უცხო, რომ ამ მხრივ სახელმწიფოს ძალიან უჭირს. იცით რაშია საქმე, ცნობილია, რომ ოქროს მოპოვება ინვესტორისთვის ძალიან რენტაბელური დარგია, მაგრამ, ამასთან ძალიან მომგებიანია სახელმწიფოსათვისაც, რადგან თუ ინვესტორს მოგების სახით 20-25 პროცენტი რჩება, დანარჩენი ხელფასებისა და სხვადასხვა გადასახადების სახით უკვე სახელმწიფოსია.

ევროპა სამთო მრეწველობით დადგა ფეხზე. ასევე უდიდესი წვლილი შეიტანა სამთო მრეწველობის დარგმა ომის შემდგომი იაპონის განვითარებაში. სხვათა შორის, არანაკლები სამთო არქეოლოგიური ძეგლები აქვს იაპონიას, საფრანგეთს, ესპანეთს, იტალიას, გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებს.

თუ არ ვცდები, საყდრისი-ყაჩაღიანის ირგვლივ საკითხი ასე დგას. დარჩეს ძეგლი იქ, სადაც ფიქსირებულად არსებობს თუ გადაიტანონ სხვა ადგილზე ან მუზეუმში. თუ ადგილს შეუცვლიან ან მუზეუმში გადაიტანენ, იმ შემთხვევაში მთლიანად აითვისებენ საბადოს და არავითარი პრობლემა არ იქნება. მაგრამ, ეტყობა ჩვენი არქეოლოგები მოითხოვენ, რომ ძეგლი ხელუხლებლად დარჩეს.

ვიცი, ამის გამო დიდი უსიამოვნება მექნება, მაგრამ მაინც ვიტყვი: იმ ადამიანებს, რომლებიც იქ სხედან და ხელს უშლიან საწარმოს მუშაობაში, არ უნდათ შეთანხმებითა და მოლაპარაკების გზით დასრულდეს ყველაფერი. მიდიან უკიდურესობამდე და ყველაფერს აკეთებენ, რათა მოლაპარაკებები არ შედგეს და საქმე სასამართლომდე მიჰყავთ. სასამართლოს გარეშეც შეიძლებოდა ამ პრობლემის მოგვარება:

— როგორ?

— რაც საყდრისი-ყაჩაღიანის ირგვლივ ხდება, ამის მოგვარება სასამართლოს გარეშეც შეიძლებოდა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რა თქმა უნდა, ქართული კულტურული და არქეოლოგიური ძეგლი არ უნდა დაზიანდეს, მაგრამ ორივე მხარე მაგიდასთან უნდა დაჯდეს და დაილაპარაკოს. ვფიქრობ, რომ გამოჩნდება ისეთი კაცი, რომელიც შუაში ჩადგება და ბოლოს და ბოლოს ამ პრობლემას თავს მოაბამს.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება სათანადოდ არ შეფასდეს ძეგლის ადგილი და როლი ქართულ და, ღმერთმა ქნას, მსოფლიოს კულტურაში და ძეგლი დაზიანდეს ან კიდევ უარესი — განადგურდეს, მაგრამ, ასევე არ შეიძლება „არემჯი“ გაჩერდეს. ვიმეორებ, ამ საკითხის მოგვარება შეიძლება მხოლოდ კეთილი ნებით, ორი ჯგუფის დაჯდომითა და მუშაობით.

— თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ, 2006 წლამდე თუ არსებობს სადმე დოკუმენტაცია, რომლის თანახმადაც საყდრისი-ყაჩაღიანი კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შედიოდა?

— იცით, პირველად საყდრისის შესახებ დაახლოებით მაგ პერიოდში გავიგე. ქალბატონი ირინა ღამბაშიძე მოვიდა ჩემთან და ვისაუბრეთ. მე მაშინ კავკასიის მინეროლოგიური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორი ვიყავი. ღამბაშიძე 2004 თუ 2005 წელს იყო ჩემთან მას შემდეგ აღარ შევხვედრივარ.

ის, რასაც „არემჯის“ გეოლოგები ამბობენ, ყურადსაღებია. საყდრისი შესაძლებელია არქეოლოგიური ძეგლია, მაგრამ ამის დასამტკიცებლად მეტი მუშაობაა საჭირო. აქ მხოლოდ არქეოლოგთა ორი ჯგუფი არ უნდა მუშაობდეს, სხვა ქვეყნების არქეოლოგებიც უნდა იყვნენ ჩართულები.

თუკი სპეციალისტები მოახერხებენ, დაამტკიცონ, რომ ეს მართლაც არის ძველი ოქროს წარმოების პირველი კერა მსოფლიოში, ეს გაზრდის საქართველოს ცნობადობას. დიდებული იქნება თუ საქართველოს აღიარებენ არა მხოლოდ ბრინჯაოსა და ფოლადის მეტალურგიის ერთ-ერთ კერად ძველ მსოფლიოში არამედ ოქროს მოპოვებისა და მეტალურგიის კერადაც. ჩაიხედეთ ინტერნეტში — პრაქტიკულად აღარავის აღარ ეპარება ეჭვი იმაში, რომ აფრიკიდან ჰომინიდების განსახლება ევროპასა და აზიაში საქართველოს გავლით ხდებოდა. სხვათა შორის, საქართველოში ბევრისთვის არ არის ცნობილი, რომ „კავკასიური რასა“ თეთრი რასის სინონიმია და რომ ეს ფრაზა მეთვრამეტე საუკუნეში მეცნიერებაში შემოიტანა ანთროპოლოგიის პატრიარქმა იოჰან ბლუმენბახმა. ის ამტკიცებდა, რომ კავკასიონის სამხრეთ ფერდზე ცხოვრობს ადამიანთა ყველაზე ლამაზი რასა და უპირველესად მათი წარმომადგენლები არიან ქართველები. დიდებულია — ჰომინიდები საქართველოდან, ბრინჯაო საქართველოდან, ფოლადი საქართველოდან, ევროპული თეთრი რასა საქართველოდან. რა თქმა უნდა, კარგი იქნება თუ ამას დაემატება ისიც, რომ ოქროს მოპოვება პირველად საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყო...

მაგრამ, ჩვენს შემთხვევაში საქართველოში 3000 კაცი უმუშევარი რჩება. კომპანია „არემჯის“ კი თუ მუშაობის საშუალებას არ მისცემენ, შეიძლება ინვესტორი საერთოდ წავიდეს ქვეყნიდან, რაც ძალიან ცუდი პრეცედენტი იქნება.

დაამტკიცონ არქეოლოგებმა ისე, რომ ჩემთვის, არასპეციალისტ დავით არევაძისათვის მისაღები იყოს მათი არგუმენტები. მე, როგორც გეოლოგი, მათთვის ბევრ რამეს გასაგებს გავხდი, მაგრამ მათ უნდა დაამტკიცონ, რომ ეს ნამდვილად ძეგლია და თუ ეს ნამდვილად ასეა, შეუძლებელი არაფერია. როდესაც ასუანის კაშხალს აშენებდნენ ეგვიპტეში, ორი უზარმაზარი ტაძარი ბლოკებად დაჭრეს და გადაიტანეს უსაფრთხო ტერიტორიაზე. იმ დროს საქმეს ასე სჭირდებოდა და ეს იმ ქვეყნის ისტორიისათვის და პრესტიჟისათვის აუცილებელი იყო.

— და გამოსავალი რა არის თქვენი აზრით?

— აქ მთავარია, ორივე მხარე მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდეს. სასამართლო ამას არაფერს უშველის, რადგან შეიძლება უფრო გაამწვავოს სიტუაცია. ასევე, ერთი არქეოლოგიური ჯგუფის მუშაობა არ არის საკმარისი.

როდესაც დმანისში პირველყოფილი ადამიანის სადგომი აღმოაჩინეს, იქ ჩამოვიდა არა მხოლოდ ერთი არქეოლოგიური ჯგუფი, არამედ ჯგუფები რამდენიმე ქვეყნიდან. ჩამოჰყავდათ სტუდენტებიც. ყველამ ერთიანად აღიარა, რომ ეს არის უნიკალური ძეგლი, რაც აღარ გამხდარა საეჭვო.

როგორც „არემჯის“ წარმომადგენლებმა გვითხრეს, უახლოეს დროში „რიჩ მეტალს გრუპის“ მფლობელი დიმიტრი ტროიცკი ჩამოდის. ვფიქრობთ, ის უნდა შეხვდეს არქეოლოგებს და ერთად იმსჯელონ ამ საკითხებზე.

მედიანიუსი

ყურადღება!

20-11-2014 წ.

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ გეგმავს ქ. თბილისში, გულუას ქ. 322-ში (ს/კ 01.18.05.001.023) მშენებარე ავტომანქანების ბუნებრივი აირით გასამართი საკომპრესორო სადგურის ელ.სამუშაოების ჩატარებას.

კომპანია ელ.სამუშაოების შესაძლო შესყიდვის მიზნით იწვევს დაინტერესებულ და ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების მქონე პირებს ფასთა გამოკითხვაში მონაწილეობის მისაღებად.

შესყიდვის ობიექტის დახასიათება

ქ. თბილისში, გულუას ქ. №22, ს/კ 01.18.05.001.023, მშენებარე ავტო გაზგასამართი სადგურის 1 000კვტ სიმძლავრის ქალაქური ტიპის სატრანსფორმატორო ქვესადგურის მოწყობა ორ ვარიანტად:

- დამზადება, აღრიცხვის კვანძის კარადის და სატრანზიტო უჯრედის გათვალისწინებით, მაღალი და დაბალი მხარის მოწყობით, ტრანსპორტირება ადგილზე, მონტაჟი და ექსპლუატაციაში მიღება შემსრულებლის ძალოვანი ტრანსფორმატორით;
- დამზადება, აღრიცხვის კვანძის კარადის და სატრანზიტო უჯრედის გათვალისწინებით, მაღალი და დაბალი მხარის მოწყობით, ტრანსპორტირება ადგილზე, მონტაჟი და ექსპლუატაციაში მიღება დამკვეთის ძალოვანი ტრანსფორმატორით.

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება.

3. მოვალეობები

- შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა;
- სამუშაოების განხორციელება.

4. წარმოსადგენი დოკუმენტაცია

- პრეტენდენტი ორგანიზაციის რეკვიზიტები (იურიდიული სახელწოდება, საბანკო რეკვიზიტები, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან);
- ცნობა, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული სასამართლო პროცესში და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრება, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან პირის მიმართ საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ;
- ინფორმაცია პრედენდენტის პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაცია ანალოგიური სამუშაეობის შესრულების გამოცდილების შესახებ (მსგავსი სამუშაოების ცხრილი: ჩამონათვალი, მოცულობა, პერიოდი);
- ინფორმაცია ქვეკონტრაქტორების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა და ვებ მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი ინფორმაცია

- შესასრულებელი სამუშაოების ფასი ყოველგვარი მომსახურებისთვის გაწეული დანახარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით; ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში;
- ინფორმაცია ანგარიშსწორების ვადებისა და პირობების შესახებ;
- ინფორმაცია საგარანტიო პირობების შესახებ;
- სამუშაოების შესრულების ვადები, გეგმა-გრაფიკი.

7. დამატებითი პირობები

- წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე ბეჭდური სახით და მოთავსებული უნდა იყოს დალუქულ კონვერტში, რომელსაც ზემოდან უნდა ეწეროს ორგანიზაციის დასახელება, საკონტაქტო პირის სახელი, გვარი და ტელეფონის ნომერი;
- დაინტერესებულმა პირებმა წინადადებები უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს **2014 წლის 5 დეკემბერის 12:00 სთ-მდე** შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ ოფისში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გამაფხულის ქ. №14, || სართული, ოთახი №12;
- წინადადებების გახსნა სატენდერო კომისიისა და ფასთა გამოკითხვაში მონაწილე პირთა თანდასწრებით მოხდება **2014 წლის 5 დეკემბერს 12:00 სთ-ზე;**
- მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სარეკომენდაციო წერილი მოთხოვნიდან 3 კალენდარული დღის ვადაში;
- გამარჯვებულის შერჩევა მოხდება შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით: ფასი, გადახდის პირობა, დამზადების და მოწოდების ვადა, საგარანტიო პირობები, ხარისხი და სხვა.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ, მოგვმართონ ელ.ფოსტაზე: e_chachanidze@giec.ge ან/და დაგვიკავშირდნენ საკონტაქტო ნომერზე: 595 33 44 24 - საკონტაქტო პირი ლევან ლაბაძე.

◎ ნიჩბოსნობა

უხვი ნადავლით



მინგეჩაურში (აზერბაიჯანი) დამთავრდა ნიჩბოსანთა საერთაშორისო რეგატა, რომელშიც ხუთი ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოდნენ საპრიზო ადგილებისთვის. საქართველოდან 9 სპორტსმენი აკადემიურ ნიჩბოსნობაში, 20 გოგონა და ვაჟი კი კაიაკსა (ბაიდარა) და კანოეში ცდიდა ძალებს. ისინი სამშობლოში უხვი ნადავლით დაბრუნდნენ. განსაკუთრებით 23-წლამდელებში 2014 წლის მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს მედალოსანი ზაზა ნადირაძე (მცხეთა) გამოირჩა: ერთადგილიანი კანოეთი 200 მეტრზე (ეს ოლიმპიური დისტანციაა) ფინალში პაექრობისას მან ნატურალიზებულ აზერბაიჯანელ ნიჩბოსნებს: ოლიმპიური თამაშების პრიზიორ და მსოფლიოს ჩემპიონ ვალენტინ დემიანენკოს, მსოფლიოს ჩემპიონ სერგეი ბეზუგლის, ახალგაზრდებში მსოფლიოს და ევროპის პირველობების გამარჯვებულ ალექსანდრ კუპინსა და ბელარუს ევროპის პრიზიორ გრიგორი გაგაბურდას აჯობა და პირველი ადგილი დაიკავა. ნადირაძის მსგავსად, მინგეჩაურული ბატალიების შემდეგ კვარცხლბეკზე ავიდნენ:

აკადემიური ნიჩბოსნობა

უფროსები. ერთადგილიანი ნაცვები. 2000 მ. 2. გიორგი კანთელაძე (ქუთაისი), 3. ლევან ბირკაია (ფოთი). **ორადგილიანი, წყვილმოსასმელიანი. 2000 მ.** 1. ფარნაოზ კაპანაძე, ნოდარ მარტოლეკი (მცხეთა), 2. ლევან ბირკაია, გიორგი კანთელაძე.

1997-1999 წლებში დაბადებულნი. ერთადგილიანი. 2000 მ. 1. ნოდარ მარტოლეკი, 2. ფარნაოზ კაპანაძე.

2000-2002 წ.წ. ორადგილიანი, წყვილმოსასმელიანი. 1000 მ. 2. გიორგი ხუროშვილი, გივი მაჭარაშვილი (მცხეთა). **ოთხადგილიანი.** გიორგი ხუროშვილი, გივი მაჭარაშვილი (ორივე-მცხეთა), ზურაბ კინტრაია, აკაკი სამუშია (ორივე-ფოთი).

კანოე

1997-1999 წ.წ. 200 მ. 1. მურმან მალანია (ფოთი), 2. მალხაზ ჭინჭარაშვილი (დუშეთი). **500 და 1000 მ.** 1. მალხაზ ჭინჭარაშვილი, 2. მურმან მალანია.

კაიაკი (ბაიდარა)

უფროსები. ერთადგილიანი. 200 და 1000 მ. ბადრი ყაველაშვილმა (თბილისი) ორივე დისტანციაზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

1997-1999 წ.წ. ერთადგილიანი. 500 მ. 3. ლუკა თხილაიშვილი (თბილისი), **1000 მ.** 2. გელა ფიცხელაური (თბილისი). **ორადგილიანი. 200 მ.** 3. გიორგი გობეჯიშვილი, ნიკა ლაზვიაშვილი (დუშეთი), **500 მ.** 2. გელა ფიცხელაური, ლუკა თხილაიშვილი, 3. გიორგი გობეჯიშვილი, ნიკა ლაზვიაშვილი.

2000-2002 წ.წ. ერთადგილიანი. 200 და 500 მ. 1. ლევან ტატუნაშვილი (თბილისი), **ორადგილიანი. 500 მ.** 2. ლევან ტატუნაშვილი, ლუკა ბულაური (თბილისი).

გოგონები

1997-1999 წ.წ. ერთადგილიანი. 200 მ. 1. თეონა შაბურიშვილი, 2. რუსუდან ჯიქურაული, მარიამ ქერდიკაშვილი (სამივე-დუშეთი). **500 მ.** 1. თეონა შაბურიშვილი, 2. რუსუდან ჯიქურაული, **ორადგილიანი. 200 და 500 მ.** 1. ნინო და მანანა ჯიქურაულები, 2. დიანა ყარსიმაშვილი, მარიამ ყუფარაძე (ოთხივე-დუშეთი). საგულისხმოა, რომ დიანამ და მარიამმა თავის ასაკთან ერთად ორი წლით უფროსებშიც იასპარეზეს.

2000-2002 წ.წ. 200 მ. 1. ქრისტინე მგელაძე (ფოთი), 2. მარიამ ყუფარაძე, 3. ნატო ჩხუტიაშვილი (ორივე — დუშეთი), **500 მ.** 1. ქრისტინე მგელაძე, 2. დიანა ყარსიმაშვილი (დუშეთი), 3. ნატო ჩხუტიაშვილი.

ლექსო ცინცაძე

◎ სამბო

მსოფლიოს ნარიტა მასპინძლობს

იაპონიის ქალაქ ნარიტაში დღეს დაიწყება და 24 ნოემბერს დასრულდება სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ქალ-ვაჟთა ნაკრები გუნდებიც იასპარეზებენ მთავარი მწვრთნელის — ჯონდო მუზაშვილის ხელმძღვანელობით.

ამომავალი მზის ქვეყანაში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ: **ვაჟები.** 52 კგ — გენადი ჩირგაძე, 57 კგ — ვახტანგ ჩიდრაშვილი, 62 კგ — შმაგი ლაგაზაური, 68 კგ — ლევან ნახუცრიშვილი, 74 კგ — ბესარიონ ბერულავა, 82 კგ — ნიკოლოზ კუცია, 90 კგ — დავით კარბელაშვილი, 100 კგ — დავით ლორიაშვილი, +100 კგ — ბექა ბერძენიშვილი. **ქალები.** 60 კგ — შორენა შარაძე, 68 კგ — თეა სუხიტაშვილი, 72 კგ — ნინო ოძელაშვილი, +78 კგ — ირინე ლეონიძე. ამათგან ჩიდრაშვილი და ლორიაშვილი ევროპის მოქმედი ჩემპიონები არიან, ნახუცრიშვილმა, ბერულავამ, კუციამ, სუხიტაშვილმა და ოძელაშვილმა კი კონტინენტის პირველობაზე ვერცხლის მედლები მოიპოვეს, ხოლო ლეონიძე „ბრინჯაოს“ დასჯერდა.

საგულისხმოა, რომ საქართველოს სამბისტთა ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენი ქვეყნის ძიუდოისტთა ეროვნული გუნდის წევრები უქმაგებენ, რომლებიც იაპონიაში საწვრთნელ შეკრებაზე არიან და 5-7 დეკემბერს ტოკიოში ძიგორო კანოს საერთაშორისო ტურნირში მოსინჯავენ ძალებს.

ლაშა დიდია

◎ კალათბურთი

ფერმადინის პირველი მატჩი „კანტუში“

იტალიურ „კანტუში“ დაბრუნების შემდეგ პირველი მატჩი ჩაატარა გიორგი შერმადინმა. ქართველი კალათბურთელის გუნდი ევროთასის ეგიდით ესპანურ „გრან კანარიას“ დაუხვდა და 63:80 დამარცხდა.

ქართველი ცენტრი მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 15 წუთში 6 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა. გიორგიმ 1 ორქულიანი ააცილა და 1 პერსონალური ფოლი მიიღო.

კანტუელებს ექვს ტურში ერთადერთი მოგება აქვთ და B ჯგუფში ბოლო ადგილზე იმყოფებიან. იტალიურ კლუბს მომდევნო მატჩი 25 ნოემბერს სტუმრად გერმანულ „არტლანდ დრაგონსთან“ ელის.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სუმო

ტოჩინოშინი მხოლოდ იოკოძუნებს ჩამორჩება

ქართველი სუმოისტი ლევან გორგაძე,იგივე ტოჩინოშინი ფუკუოკაში მიმდინარე კიუშიუ ბაშოზე ჩინებულად ასპარეზობს.

ტოჩინოშინმა 2 მარცხის წილ მე-9 გამარჯვება



იზეიმა და მხოლოდ იოკოძუნებს — ჰაკუჰოს და კაკურიუს ჩამორჩება, მისი დარი ბალანსი კი ოძეკი კისენოსატოს გააჩნია.

ქართველმა გოლიათმა დასავლეთის მე-11 მაეგაშირა კიოკუტენჰოსთან მისი საფირმო მარცხენამხრიანი ჩაჭიდება გამოიყენა და 40 წლის მეტოქე იორიკირით დაამარცხა. ძალიან დაძაბული შერკინება იყო, რომელიც წუთზე მეტ ხანს გაგრძელდა.

გორგაძის შემდეგი მოწინააღმდეგე დასავლეთის მე-14 მაეგაშირა სოკოკურაი იქნება, რომელსაც ელიტარულ მაკუუჩი დივიზიონში პირველად დაუპირისპირდება.

მე-11 ტურში პირველი მარცხი შეემთხვა იოკოძუნა კაკურიუს. იგი ოძეკი კისენოსატომ ოშიდაშით დაჯაბნა. შედეგად, კაკურიუს იოკოძუნა ჰაკუჰო დაეწია, რომელმაც ოძეკი გოეიდოს ჰატაკიმომით აჯობა.

შეგახსენებთ, რომ ტოჩინოშინს, რომელიც ნოემბრის სუპერტურნირს აღმოსავლეთის მე-8 მაეგაშირას წოდებით შეხვდა, სერიოზული წინსვლა გარანტირებული აქვს.

აღნიშნულის წინაპირობას ისიც ქმნის, რომ ტოჩინოშინის წინ მყოფ სეკიტორთაგან უარყოფით ბალანსს, იგივე მაკე-კოშის არაერთი დააფიქსირებს.

კიუშიუ ბაშოს მე-12 დღეს ცენტრალური ჰაკუჰოს და კისენოსატოს შერკინება იქნება, კაკურიუ კი ოძეკი გოეიდოს დაეჭიდება.

სამწუხაროდ, მაკე-კოშისთან ახლოს გახლავთ რანგით მე-2 ძურიოს დივიზიონში მოასპარეზე თეიმურაზ ჯუღელი. გაგამარუს აქტივში 5 მოგება აქვს, მე-6 მარცხი კი აღმოსავლეთის მე-13 ნომერ ტენკაიჰოსთან განიცადა.

ქართველი გოლიათი ფუკუოკაში დასავლეთის მე-5 ნომრის წოდებით ირჯება და თუკი დაქვეითება არ სურს, დარჩენილი 4 ორთაბრძოლიდან სამში უნდა იმარჯვოს. ჯუღელის შემდეგი მოწინააღმდეგე დასავლეთის მე-11 ნომერი დაიეიშო იქნება.

კოგა კოგახიძე

◎ ინტერნეტიდან

ფეხბურთზე შეყვარებული ჰილარი ფიშერი

ამერიკის შეერთებულ შტატებში ბოლო წლებში ევროპული ფეხბურთი სპორტის პოპულარული სახეობა ხდება. ეს იმითაც დასტურდება, რომ „სოკერს“ (როგორც ამერიკაში ფეხბურთს ეძახიან) მამაკაცების გარდა, სულ უფრო მეტი ქალი უყურებს და თამაშობს.

პოპულარული ამერიკელი მოდელი ჰილარი ფიშერი ფეხბურთის დიდი მოყვარული ყოფილა და თურმე თავისი მშობლიური გუნდის, აშშ-ს საფეხბურთო ნაკრების თავგადამკვდარი ქომაგიცაა. ოკეანისგაღმელი ჟურნალისტები წერენ, რომ ჰილარი MLS-ის მატჩებსაც ხშირად ესწრება.

33 წლის ჰილარი ფიშერის ფეხბურთისადმი ტრფობის სათავეები ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ფაქტია, რომ თანდათან ბარდება წარსულს ამერიკაში ევროპული ფეხბურთისადმი გულგრილი დამოკიდებულება და ეს აშშ-ში ფეხბურთის განვითარების ჩქარი ტემპებითაც მტკიცდება.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ფეხბურთი

მესის მამა შვილის „ბარსადან“ წასვლას გამორიცხავს

„ბარსელონას“ ლიდერის ლიონელ მესის მამამ ხორხე მესიმ ესპანურ მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ მისი შვილი კატალონიურ გრანდში თავს კარგად გრძნობს და კარიერის დასრულებაც „ბლაუგრანაში“ სურს.

„ამ წუთისთვის საგანგაშო არაფერია. მას „ბარსაში“ დარჩენა სურს, რადგან იქ ბედნიერია“, — განაცხადა ხორხე მესიმ.

მცირე კომენტარი ამასთან დაკავშირებით „ოლესთან“ საუბარში თავად მესიმაც გააკეთა:

„ყოველთვის მსურდა კარიერის „ბარსელონაში“ დასრულება, თუმცა ფეხბურთში ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ერთ მხარეს უნდა“, — თქვა ლიონელ მესიმ.

ლიონელ მესის დებიუტი „ბარსას“ რიგებში ჯერ კიდევ 10 წლის წინათ შედგა. მან კატალონიური კლუბის მაისურით ყველა შესაძლო ჯილდო მოიგო, მათ შორის ზედიზედ ოთხჯერ „ოქროს ბურთსაც“ შესწვდა.

გიორგი ზოთაძე

◎ ფული

ნოემბრის სინდრომი ლარის კურსისთვის

სპეციალისტების ნაწილი მიიჩნევს, რომ წლის ბოლომდე ლარის კიდევ უფრო გაუფასურებაა მოსალოდნელი. ნოემბერ-დეკემბერში ლარზე ზემოქმედება გაიზრდება. კურსის მერყეობა უკვე დაწყებულია. საერთოდ ასეთი მოვლენები ყოველი წლის ბოლოს აღინიშნება, მაგრამ განსაკუთრებული გავლენა კურსზე ორჯერ მოახდინა – 2008 წლის ნოემბერში და 2013 წლის ნოემბერ-დეკემბერში. გამოდის, რომ წლის მიწურული ეროვნული ვალუტისთვის ყოველთვის სახიფათო პერიოდია.

წლის ბოლომდე მიმოქცევაში დიდი რაოდენობით ლარის გამოსვლა, უცხოური ინვესტიციების დეფიციტი, ფულადი გზავნილების შემცირება – ეს ფაქტორები ეროვნულ ვალუტაზე ნეგატიურად მოქმედებს. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ქვეყანა ვერც ინვესტიციის სიმრავლით დაიკვეხნის. გარდა ამისა, შემცირებულია ფულადი გზავნილებიც (ბოლო თვეებში). შესაბამისად, ლარის კურსის გაუფასურების საფუძველი ახლაც არსებობს.

შარშან ლარის სწრაფი გაუფასურება სწორედ ნოემბრიდან დაიწყო (სასტარტო კურსით 1,66) და იანვრის ბოლოს ეროვნული ვალუტის კურსმა დოლარის მიმართ 1,79 ლარსაც კი მიაღწია. იგივე მოვლენები მოხდა 6 წლის წინაც. მაშინ ეროვნული ვალუტა 1,44-ის ნიშნულიდან ერთბაშად 1,65-მდე ავარდა. ახლა ლარი დოლართან მიმართებაში 1,75-დან დაიძრა, ამჯერად 1,765-ის ფარგლებშია.

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია მოსახლეობას ამშვიდებს, რომ ლარის სტაბილურობას წლის ბოლოსთვის საფრთხე არ ემუქრება.

საქართველოში 1997 წლიდან მართვადი მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი მოქმედებს, რომლის პირობებში გაცვლითი კურსის განსაზღვრა ხდება საბაზრო ძალების მიხედვით – მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთქმედებით. შესაბამისად, ლარის კურსის შესაძლო ცვლილების გასაანალიზებლად საჭიროა იმ მიმართულებების შესწავლა, რომლებიც გავლენას ახდენს ქვეყანაში უცხოური ვალუტის (დოლარის) შემოდინება-გადინებაზე.

„ჩვენი ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ წლის ბოლოსთვის ლარის სტაბილურობის თვალსაზრისით, პრობლემები მოსალოდნელი არ არის. ამის საფუძველს ქმნის ექსპორტის ზრდადი ტენდენცია, რაც ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოტანის მნიშვნელოვანი წყაროა, პირველ ცხრა თვეში ექსპორტი გაზრდილია 7%-ით.

2014 წლის პირველ ნახევარში 43%-ით არის გაზრდილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სხვადასხვა დარგში, საბანკო სექტორის გამოკლებით (ვინაიდან, საბანკო სექტორში მოხდა ინვესტიციების „გაპორტფელურება“, რამაც პირდაპირი ინვესტიციების კლების ეფექტი შექმნა).

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან ერთად უცხოური ვალუტის შემოდინების კუთხით მნიშვნელოვანი ფაქტორია მთლიანი საგარეო ვალი, რომლის ნამეტმა 2014 წლის პირველ 2 კვარტალში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 167 მილიონი დოლარი შეადგინა, ანუ ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინება მოხდა.

ლარის სტაბილურობის ასევე მნიშვნელოვანი გარანტიაა ფულადი გზავნილები, რომლის მოცულობამაც 2014 წლის იანვარ-ოქტომბერში 1,078 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელს 6 მილიონი დოლარით აღემატება“, – განაცხადა ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ნოდარ ჭიჭინაძემ.

გარდა ამისა, 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, შარშანდელთან შედარებით, ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტები 22%-ით არის გაზრდილი, ხოლო უცხოურ ვალუტაში – 21%-ით.

„აღსანიშნავია, რომ ვადიანი დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 65%-ით არის გაზრდილი, რაც ლარის მიმართ ნდობის ამაღლების მანიშნებელია. ამავე დროს, ამ ტენდენციაში ირეკლება საზოგადოების პოზიტიური მოლოდინებიც ლარის კურსთან დაკავშირებით, რაც კურსის სტაბილურობის საკმაოდ მნიშვნელოვანი წინაპირობაა. საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის პირობებში ტურიზმი უცხოური ვალუტის შემომტანი მნიშვნელოვანი წყაროა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის იანვარ-ოქტომბერში ქვეყანაში 1 932 492 ტურისტი შემოვიდა, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თითქმის 10%-ით მეტია“, – აცხადებენ აფბა-ში.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე ახალგაზრდა ფინანსიტები მიიჩნევენ, რომ წლის ბოლომდე ლარის გაუფასურება არ მოხდება და მოსახლეობას საფრთხის შეგრძნების საფუძველი არ უნდა ჰქონდეს.

გეჟა დანელია

◎ ინფორმაცია

ტრეფიკინგში ბრალდებული უზბეკეთის ორი მოქალაქე დამნაშავედ სცნეს

ბათუმის საქალაქო სასამართლოში ადამიანით ვაჭრობისთვის ბრალდებულების, უზბეკეთის რესპუბლიკის ორი მოქალაქის – ო.ბობოევასა და მ.რუსტამოვას საქმის არსებითი განხილვა დასრულდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პროკურატურიდან აცნობეს, მათ ბრალად ედებოდათ უზბეკეთის რესპუბლიკის სამი მოქალაქის მიმართ საქართველოს ტერიტორიაზე ტრეფიკინგის განხორციელება. კერძოდ, ბობოევამ და რუსტამოვამ უზბეკეთის რესპუბლიკიდან მოტყუებით ჩამოიყვანეს სამი უზბეკი ქალბატონი, ჩამოართვეს უზბეკეთის მოქალაქის პასპორტები, შეუზღუდეს თავისუფლად გადაადგილების უფლება და ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარითა და იძულებით, გარკვეული პერიოდი მათ მიმართ ახორციელებდნენ სექსუალურ ექსპლუატაციას.

მათივე ინფორმაციით, ბათუმის საქალაქო სასამართლომ, ბობოევა და რუსტამოვა სრულად სცნო დამნაშავედ. ბობოევას დანაშაულის ერთობლიობით საბოლოო სასჯელად 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, ხოლო რუსტამოვას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. რუსტამოვა მიმალვაში იმყოფება და მასზე გამოცხადებულია ძებნა.

განცხადება

19.06.2014 წელს გარდაცვლილი ქეთევან ჯელილის ასული წაქაძის სამკვიდრო საქმის წარმოება მიმდინარეობს ნოტარიუს ნუნუ კაკოჩაშვილთან. გთხოვთ, სავარაუდო მემკვიდრეებმა განცხადებით მიმართოთ ზემოაღნიშნულ ნოტარიუსს.

◎ ჩვენი კარაბადინი

საშიში არაფერია

რატომ არ არის ართროზი საბაბი პანიკისთვის?

როდესაც ესმით დიაგნოზი „ართროზი“, ბევრს განგაში იპყრობს, ზოგჯერ კი ძლიერი შიში თავისი მომავლისთვის. რისი გვეშინია? და რამდენად საფუძვლიანია ეს შიში?

შიში № 1

მუდმივად შემაწუხებს ტკივილი

ექიმები ადასტურებენ: ერთ-ერთი პრობლემა, რასაც ისინი გადაეყრებიან ხოლმე ართროზის მკურნალობის დროს, – ესაა ის, რომ ავადმყოფები გვიან აკითხავენ. ჩვენთან ცოტა ვინმე მიდის ექიმთან, თუ დისკომფორტი სახსრებთან დაკავშირებით დიდი არაა. პოლიკლინიკებში მიდიან მხოლოდ მაშინ, როდესაც ტკივილი აუტანელი ხდება. ასეთი ტკივილი გაძაბუნებს, ამიტომ აზრი იმის შესახებ, რომ იგი მთელი სიცოცხლე გაგვტანჯავს – პანიკისთვის გაურკვეველი საბაბია.

გამოსავალი არის!

მართალია, ართროზი–განუკურნებელი დაავადებაა, ის, ვისაც იგი აწუხებს, ყოველთვის როდი განიცდის ტკივილს. დღეს არსებობს მკურნალობის მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევა შევამციროთ იგი, ანდა სულაც ავიცილოთ თავიდან. უწინარეს ყოვლისა, ამისთვის იყენებენ არასტეროიდულ ანთებისსაწინააღმდეგო პრეპარატებს. დაავადების მწვავე პერიოდში მათ უნიშნავენ თითქმის ყოველთვის.

თუ ტკივილს ანთება ახლავს, შეიძლება გამოიყენონ საინიექციო ბლოკადები, რომელთა დროსაც პრეპარატები შეჰყავთ პირდაპირ სახსარში.

გამწვავებების პროფილაქტიკისთვის ან მათს კომპლექსურ მკურნალობაში ასევე იყენებენ ფიზიოთერაპევტულ მენთოდებს, ისინი აუმჯობესებენ სისხლის მიმოქცევას და სტიმულს აძლევენ სახსრების გარშემო არსებულ კუნთებს, ხელს უწყობენ ტკივილის შემცირებას.

მიაქციეთ ყურადღება!

ყველა ზემოაღნიშნული მეთოდის ბოროტად გამოყენება, ისევე როგორც მათი უკონტროლოდ მიღება, არ შეიძლება. არასტეროიდულ ანთებისსაწინააღმდეგო პრეპარატებს აქვთ მთელი რიგი სერიოზული თანამდევი ეფექტი, მაგალითად, არაკეთილსასურველად მოქმედებენ კუჭ-ნაწლავთა ტრაქტზე. ხოლო ამ ჯგუფის ზოგიერთი საშუალება არსებითად ზრდის ინფარქტებისა და ინსულტების განვითარების რისკს.

ინიქციები სახსარში, როდესაც თრგუნავენ ტკივილს, აჩქარებენ სახსრისშიდა ხრტილის ნგრევას, ესე იგი არსებითად ხელს უწყობს ართროზის პროგრესირებას. ხოლო ფიზიოპროცედურების გამოყენებისთვის არის სერიოზული შეზღუდვები. თუ გვსურს ტკივილი ავიცილოთ თავიდან, ზიანი არ მივაყენოთ ორგანიზმს, საჭიროა ზუსტად შევასრულოთ ექიმის რეკომენდაციები და გამოვრიცხოთ თვითმკურნალობა.

შიში № 2

ინვალიდი გავხდები, ვერ შევძლებ დამოუკიდებლად ვიმოძრაო და მოვუარო თავს

ართროზი – ინვალიდობის მართლაც ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზია. და საქმე მხოლოდ ტკივილს როდი შეეხება. ამ დაავადების დროს თანდათანობით ინგრევა სახსარშიდა ხრტილი, რომლის ამოცანაცაა – უზრუნველყოს სახსრების ძვლების შედარებითი ნარნარი სრიალი ერთმანეთთან დაკავშირებით. თუ ხრტილი ძალიან გაცვეთილია, ძვლების ზედაპირები იწყებენ ერთმანეთთან ხახუნს, რაც მათი დაზიანებით იმუქრება. ძვალზე დატვირთვა რომ შევამციროთ, ბუნებამ „ეშმაკური“ მექანიზმი მოიფიქრა. ძვლის ზედაპირის ნაპირებზე იზრდება ოსტეოფიტელები – წვეტები, რომლებიც ზრდიან ძვლების შეხების მოედანს, მაგრამ ამ დროს ართულებენ მოძრაობას სახსარში. ევოლუციის თვალსაზრისით –ესაა ორგანიზმის დაცვა, აი თუ დაავადებული ადამიანის პოზიციიდან შევხედავთ, კარგი ამაში ბევრი არაფერია. სახსრებში მძიმე მოძრაობის გამო ჩნდება პრობლემები სიარულის დროს, ზოგჯერ ლოგინიდან წამოდგომაც კი ძნელია. თუ დაავადებამ ხელები დააზიანა, ძნელია აიღო ჭიქა ან თუნდაც კარი გააღო...

ამ შემთხვევაში სრულფასოვან ცხოვრებასთან დაბრუნებაში გვეხმარება მხოლოდ ენდოპროთეზირება – სახსრის ხელოვნური შეცვლა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ოპერაციას აქვს ბევრი საწინააღმდეგო მაჩვენებელი, მისი გაკეთება ყოველთვის როდი შეიძლება უფასოდ, თანაც ყველა სახსრის შეცვლა შეუძლებელია.

გამოსავალი არის!

სახსარშიდა ხრტილის სრული დანგრევა და მრავალი ოსტეოფიტის გაჩენა ჩვეულებრივად შეინიშნება ართროზის მესამე-მეოთხე სტადიაში. აი ტკივილი, როგორც წესი, ჩნდება მეორე სტადიაში, და სწორედ მაშინ მიმართავენ პაციენტები ექიმს. ამ შემთხვევაში ჯერ კიდევ არის დრო, რომ შევინარჩუნოთ სახსარი და არ დავუშვათ ინვალიდობა. ამისთვის უნდა შევაჩეროთ სახსარშიდა ხრტილის ნგრევა.

ამ მიზნით უკვე რამდენიმე ათეული წელია, იყენებენ წამლებს – ქონდროპროტექტორებს. ისინი თავიანთ შემადგენლობაში შეიცავენ ორ ნივთიერებას– სულფატის ქონდროიტინს და გლუკაზამინს. ეს კომპონენტები გვეხმარება, როგორც სახსრების ხრტილის სამშენებლო მასალა, ისინი ამცირებენ მასში ანთებას, ზრდიან მის სინოტივეს. ქონდროპროტექტორები სწრაფად არ მოქმედებენ – მკურნალობის კურსი ჩვეულებრივად 3-დან 5 თვემდე გრძელდება, თანაც იგი პერიოდულად უნდა გაიმეორო. მაგრამ დღეისთვის ეს არის პრეპარატების ერთადერთი ჯგუფი, რომლებსაც შეუძლიათ შეაჩერონ ართროზის განვითარება.

ამ დროს ქონდროპროტექტორები იძლევიან არსებით ბონუსს– მათ აქვთ მსუბუქი გამაუმტკივნებელი ეფექტი, რომელიც ვლინდება მათი მიღების შესაბამისად. ამის წყალობით, ისინი საშუალებას გვაძლევენ შევამციროთ ნესტეროიდული ანთებისსაწინააღმდეგო პრეპარატების დოზები (ზოგიერთ ავადმყოფს შეუძლია მათზე მთლიანად თქვას უარი).

მიაქციეთ ყურადღება!

მართალია, ქონდროპროტექტორები ეფექტიანია ართროზის მეორე სტადიაში, მესამეში კი შეიძლება იქნეს გამოყენებული კომპლექსური თერაპიის შემადგენლობაში, ისინი საუკეთესო შედეგს პირველ სტადიაში იძლევიან, როდესაც ხრტილი ის-ისაა იწყებს ნგრევას. ნუ დაელოდებით ტკივილს – მიმართეთ ექიმს, თუ რაღაც დისკომფორტს გრძნობთ სახსარში, განსაკუთრებით დილაობით.

შიში № 3

ართროზი – ეს დასასრულის დასაწყისია, შემდეგ – მხოლოდ დაავადებებია

ართროზი მართლაც იზიდავს თავისკენ სხვა სენს. ტკივილს სახსრებში მივყავართ იქამდე, რომ ადამიანი ნაკლებად მოძრაობს და იმატებს წონაში. სისრულე – ეს არტერიული წნევის ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, ჰიპერტონია კი ზრდის ინფარქტებისა და ინსულტების რისკს... მეორე ვარიანტი– ტკივილი სახსარში იწვევს დეპრესიის განვითარების პროვოცირებას, იგი კი, თავის მხრივ, იწვევს შეფერხებებს ორგანიზმის ყველა სისტემაში.

გამოსავალი არის!

ეს ყოველივე შეიძლება ავიცილოთ თავიდან და ამის დადასტურებაა ბევრ იმ ადამიანთა მაგალითი, რომლებსაც აწუხებს ართროზი, მაგრამ მაინც არიან აქტიურები. ისინი აკეთებენ საოჯახო საქმეებს, სეირნობენ, ზრდიან შვილიშვილებს, დადიან თეატრში. მათი მთავარი საიდუმლო ისაა, რომ ისინი მკურნალობენ. ართროზი არ შეიძლება მივუშვათ თავის ნებაზე – იგი თავისით არასოდეს გადის. მაგრამ თანამედროვე კომპლექსური თერაპიის დროს იგი აღარ რჩება განაჩენად.

მიაქციეთ ყურადღება!

ართროზი შეიძლება იყოს ბიძგი სხვა დაავადებებისთვის, მაგრამ ხშირად იგი თავად ხდება სენის შედეგი. მაგალითად, მუხლებისა და მენჯ-ბარძაყის სახსრების დანგრევა უფრო სწრაფად მიდის ბრტყელტერფიანობის, ვარიკოზის, შაქრის დიაბეტის ფონზე, რაც თან ახლავს სიმსუქნეს. ხშირად ამ დაავადებათა კომპენსაციას მივყავართ ტკივილის შესუსტებასთან სახსრებში და ანელებს ხრტილის დანგრევას.

ЗДОРОВЬЕ

◎ სულიერება

კრება წმიდისა მთავარანგელოზისა მიქაელისა და სხვათა უცხოელთა ზეცისა ძალთა

21 ნოემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მთავარანგელოზთა – მიქაელის, გაბრიელის, რაფაელის, ურიელის, სელაფიელის, ეგუდიელის, ვარახიელის, იერომიელის კრების ხსენებას.

...მთავარანგელოზთა დღესასწაულს განსაკუთრებით ზეიმით აღნიშნავენ ქუთაისის, მწვანე ყვავილას, მენჯის, ჯუმათის, ალგეთის, დიმის, შუამთის, გრემის და თბილისის წმინდა მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრებში.

ხატმწერნი სხვადასხვანაირად გამოსახავენ მთავარანგელოზებს. ცნობილია, რომ მთავარანგელოზი მიქაელი ხატებზე ჯავშნით არის გამოსახული, მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს, მარცხენაში ზეთისხილის რტო. მთავარანგელოზი გაბრიელმა მარიამ ღვთისმშობელს აუწყა, რომ დედა გახდებოდა კაცობრიობის მხსნელისა. მთავარანგელოზი რაფაელი თევზთან და წამლის ჭურჭელთანაა გამოსახული.

მთავარანგელოზი ურიელი – ხმლით და ცეცხლის ალითაა გამოსახული, მთავარანგელოზი სელაფიელი – მლოცველის პოზიციაშია. მთავარანგელოზი იეგუდიელი მარჯვანაში – ოქროს გვირგვინით, მარცხენაში – შოლტით.

მთავარანგელოზი ვარახიელი ვარდისფერი ყვავილებით შემკული სამოსით არის ხატებზე გამოსახული.

რაც შეეხება იერომიელ და ტახნიელ მთავარანგელოზებს, ისინი სასწორით ხელში არიან გამოსახულნი და მიიჩნევიან საღვთო სიყვარულის აღმძვრელად.

წმინდა წერილში ნათქვამია, რომ „ოდეს შექმნულ იქმნეს ვარსკვლავნი, მაქებდეს მე ხმითა დიდითა ყოველნი ანგელოზნი ჩემნი“.

ასე რომ, ანგელოზნი ესწრებოდნენ ხილული სამყაროს შექმნას და ადიდებდნენ შემოქმედების სიბრძნეს და ძალას...

გიული ლიპარტია

◎ დედაქალაქი

კიბეზე, მტვერში ყრია სურსათი...

იყო დრო, როცა სტაციონალური აგრარული ბაზრები, რომლებსაც საბჭოურ პერიოდში „საკოლმეურნეოს“ უწოდებდნენ, დედაქალაქის უკლებლივ ყველა უბანში იყო – ვერაზე, საბურთალოზე, ავლაბარში, ისანში, ორთაჭალაში, ნაძალადევში, დიდუბეში, სხვაგან. მერე და მერე, თანდათანობით, ხელისუფლების სათავეში მოსული ძალების ცვლილებასთან ერთად, აგრარული ბაზრების რიცხვმა ნელ-ნელა შემცირება დაიწყო, როგორც ჩანს, იმისდა შესაბამისად, თუ როგორ ემატებოდა მადა ქვეყნის თუ დედაქალაქის ცალკეულ „მმართველებს“.

ზოგი ასეთი აგრარული ბაზრის ადგილი თანამედროვე მრავალპროფილიანმა მაღაზიებმა ჩანაცვლა, რაც, თავისთავად, ურიგო არ არის სისუფთავისა და წესრიგის თვალსაზრისით, მაგრამ სამაგიეროდ ფასები იქ თითქმის მესამედით მაღალია, ვიდრე კანტიკუნტად შემორჩენილ „ძველებურებში“. ზოგი მათგანი კი სულაც ქალაქის რუკიდან უკვალოდ გაქრა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ბუნება სიცარიელეს ვერ იტანს, ამიტომაც ჩნდება სტიქიურად ქალაქის სხვადასხვა უბანში სახელდახელო აგრარული და შერეული საქონლის ბაზარ-ბაზრობები. ასე იყო ერთ დროს მეტროს სადგურ „დელისთან“, ასეა ახლა მეტროს სადგურ „მარჯანიშვილის“ მიმდებარედ, „გოცირიძესთან“, „სარაჯიშვილთან“...

დედაქალაქის შედარებით ახალი გარეუბნები, ვთქვათ, გლდანი, თემქა, მუხიანი, სხვები, უმეტესწილად, ეგრეთ წოდებული „საძილე რაიონებია“, სადაც საწარმოები ნაკლებადაა და კორპუსები, ძირითადად, საცხოვრებელ სახლებს წარმოადგენენ. ამდენად, ბუნებრივია, რომ იქაურ მოსახლეობას ოჯახებისთვის სანოვაგის შესაძენად შორს წასვლა არაფერში ეხალისება, ყველაფრის ახლომახლო ყიდვა ურჩევნია, მოთხოვნა კი, მოგეხსენებათ, მიწოდებას განაპირობებს. ამდენად, აბა, რა გასაკვირია, რომ უკვე კარგა ხანია მუხიანისა და თბილისის ზღვის უბნის მოსახლეობა, სადაც ამჟამად დაახლოებით 60 ათასი კაცი მაინც ცხოვრობს, სოფლის მეურნეობის პროდუქციას სახელდახელოდ გაჩენილ „ბაზარში“ ყიდულობს, რომელიც ამ რაიონში ავტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსების ბოლო გაჩერების მიმდებარედ... მიწისქვეშა გასასვლელის კიბეზეა სპონტანურად წარმოშობილი(?!). უქმე დღეებში (ცხადია, სხვა დროსაც!) აქ ისეთი რიარრიაა, რომ ორი-სამი კაცი ერთმანეთს გვერდს ვერანაირად ვერ უქცევს, კიბე კი მოვაჭრეებითა და მათი საქონლითაა გადაჭედილი! ნუთუ ასე ძნელია, რაიონის გამგეობამ, ანდა, სულაც, თბილისის მერიამ, ასეთ მარტივ ყოფით პრობლემას მაინც მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და ხალხს ვაჭრობისა და პროდუქციის შეძენის ცივილიზებული პირობები შეუქმნას, რათა, სხვა თუ არაფერი, კაცმა სურსათი შინ მტვერში ამოუგანგლავი მიიტანოს?!

ოთარ ტურაბელიძე

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა**...

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

◎ კადრი



◎ ცინცხალი ანეკდოტები

ბარდღუს ჯარში წასვლის დრო მოუვიდა, სამხედრო კომისარი ეკითხება:

– ბარდღუ ბღარკავა, მაინც, რომელ ჯარებში გინდათ სამშობლოს ემსახუროთ?

– სამხედრო-საზღვაო ძალებში მინდოდა მომესინჯა თავი, პატივცემულო!

– მერე, ცურვა თუ იცი, ცურვა?

– ისა, ა, ცურვა, დიდად პატივცემულო? მერე მე რატომ მეგონა, რომ იქ გემებით დაცურავენ?!

* * *

სხედან შერლოკ ჰოლმსი და დოქტორი ვატსონი ბუხართან, ჩიბუხებს აბოლებენ, ცხელ პუნშს აგემოვნებენ...

ჰოლმსი დაკვირვებით უყურებს ვატსონს:

– იქნებ მიბრძანოთ, ვატსონ...

– რაო, ჩემო მეგობარო?

– რატომ გაქვთ ასეთი უცნარი სახელი... „დოქტორი“?

– **ჩემთვის** სულ ერთია, რას ვჭამ – შავ ხიზილალას თუ შავ პურს!– – ამბობს ძუკუ.

– კი მაგრამ, მაშინ რატომაა, რომ მაინცდამაინც სულ შავ ხიზილალას ჭამ?

– მერე, სულ ერთი არ არის?

* * *

– **ვხედავ**, ორი შვილი გყავს, – ეუბნება მარჩიელი მამაკაცს.

– შენც იტყვი რა, „მარჩიელი ვარო“! მე ხუთი შვილი მყავს, გაიგე – ხუთი! – დაცინვით ეუბნება მამაკაცი.

– ეგ შენ გგონია ასე! – აზუსტებს მარჩიელი.

* * *

– **გუშინწინ** ლეომ ბრილიანტის კოლიე მაჩუქა, გუშინ თეთრი „მერსედესი“ მომართვა, დღეს დილით კი ყვავილებით მომადგა და ცოლობა მთხოვა!

– უყურე მაგ გაფუჭებულს! ეკონომიის გაწევა დაიწყო, ხომ?!.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24